

F 17.204
2

ՀԱՅ
ԵՆՈՒՄՅԻՅՈՒՆ



ՄԻՆԻ ՄԵՏԻՆԵՐ

ՀԱՅԿԵՆ

ԵՆՈՒՄՅԻՅՈՒՆ
1934

F



●
M. H. ...
...
■

ՀԱՄԱԵՆՈՒԹՅԱՆ
ԼՍՏԱՆՈՒԹՅԱՆ



ფ. ნაკრუხვილი

საბჭოთავი
საბჭოთავი

მკრი

მინამართი

კოეგებია

საბჭოთავი 1984

1984/1/1

~~სკე.სკ~~

22.06

საბჭოთავი
საბჭოთავი



საბჭო 2000
შეგროვებული მასალები

გამკვეთი: გ. - ა. გ. - ლ.
გადაცემა წიგნების 2 - IV - 33
სელექციონირების განყოფილება. 28 XII - 33
სტ. ქ. 62 X 94. ს. ს. უ. 16.000
საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განკარგულებაში
ტანადი 2000. შუი. 231
საბჭოების ინტეგრირება სტ. სტ. 91
800-902. ს. 27.

34 33.

1711

5

ორი მისამართი

ნ ა რ კ ვ ე ე ი

უქრობს კარზე დარტყმის ზღვარს.

ნედლეული და ბაქოს ბენზინის
უხვი დოვლათი მუდამ სწყურია,
ქალაქს, რომელსაც „ენ“ ფაბრიკების
მონაქრისფერო ცა ახურია.

„ენ“ ფაბრიკების შავი უბანი
მუდამ ნახშირით არის მსუქანი...

დღეა თუ ღამე შეუჩერებლივ,
მწყობრად მოქმედობს ათასი დაზგა,
და საყვირების გრიაღს ამოყავს,
ვანთიადი და მზე ახალგაზრდა...

ყველგან მაზუთის შავნე სუნია
და ყვაეილების ბალი არ არის
მაინც ცხოვრება გახლავთ მაღალი,
მიწა მაზუთით არის მაძლარი,
მიწა შავია ვით ორთქლმავალი.
კაცზე მაღალი ვალაევანია,



შიგნით შესული ბაჭოელები.
ეს ცისტერნების ქარვანია.

ერთხელ ხარობდა ტყე გაუვალი,
ვაშლი, ატამიც და ალუბალი, —
მოსპო რკინის გზამ,

მათი ცხოვრება

ეხლა მოხუცებს ემახსოვრება.

სად მიმოჩეხეს ტყეთა წყებანი, —

ფეთქავს ქარხნების შავი უბანი,

უელის რკინის გზა,

დაჯახებანი,

სადაც ყოფილა ხშირად ჩვენს დროშიც...

და ორთქლმავალი მძიმეთ დაქრილი,

მოუყვანიათ სახელოსნოში...

დგას ერთფეროვან მოძრაობაში

კაცი მალალი და ჯანიანი,

და ორთქლმავალის მძიმე ქრილობას

სჭედავს ქალარა

მკერდ ბალნიანი.

მისი გაცნობა თქვენთან მწადია,

მის ცხოვრებაში მინდა შევიღე,

უბანი იცნობს, დიდი ხანია,

მუშა, გიორგი დარაშელიძეს.

პოემის გვირგვინი ცხრამეტი წელი,
მძიმე შრომაში აქ გაატარა,

ბევრი რამ ახსოვს,

იმის ქალარას

განვლილ ბრძოლების

სცემდა ნალარა.

ბრძოლის შუაგული იყო უბანი,

მღელვარებებზე

მღელვარებანი;

კიოდა როგორც ღამით ნაგანი,

ხმა ცხრას ხუთელ გრივალთაგანის.

რა „გაფიცანი“ ვთხოვე გიორგის,

თუ საამისოდ დრო გეშოვებათ,

შიამბეთ.

რაც კი გემახსოვრებათ,

მინდა აეწერო

თქვენი ცხოვრება.

„მე დავიბადე 18...

ასე მოგვითხრობს დარაშელიძე, —

მამა გასტეხა

ღლე და ღამ შრომამ,

სოფელს უკვირდა

ჯაფა მამისა,



მიუხედავად ამისა —
 მან, სიქესატე ვერ მოიშორა.
 უღარიბესი გლეხის ოჯახი,
 სადაც ვიყავით თოთხმეტი სული, —
 სალამოობით კერიის ირგვლივ,
 იყო ჩოჩქოლი, წრეს გადასული,
 რამდენი ღამე დაღონებულებს
 ულუკმაპუროთ გაგვითენებია,
 თერთმეტ ქალ-ვაყებს შემოყურებდენ
 ჩემი მშობლები და ყრუ ბებია.
 თერთმეტს მოაკლდა მალე სამი და
 ჩვენი ოჯახი ქელებმა წაიღო.
 ორი, დებს შორის ქმრებთან წავიდა, —
 ჩვენი ოჯახი მზითევმა აიკლო.
 მესამე და ხელთ შემოგვაბერდა,
 გაუთხოვრობით დამწვარი,
 და წლოვანებით ჩემზე უფროსი
 დარჩა ბოლომდის ქალწული.
 ნურას დამძრახავთ, ახირებულნი,
 ხუთ წელში ერთხელ
 ტან განაბანი,
 მოკვდა ბებიაც,
 დაწვირებული

მას ასწლოვანი დარჩა საბანი,
ჩვენი ღლები
იყო სხვაგვარი,
უბედურება ზეცამ გვაწვიმა;
მამამ

გვასწავლა ვაეებს ანბანი,
შემდეგ

ამ რიგად დაგვანაწილა:

ერთი, სახლშივე მამას შევლოდა,
მე მიმაბარა მჭედელს შეგირდად,
მესამე ხარაზს,

მეოთხე დურგალს,

მეხუთე მუშად — პორტში შევიდა.

ჩვენში, რომელიც გახდა დურგალი,

დადგა სამ-თვალის სახლი ფიცრული,

შუბლ-შეკრული და გაულიმარი,

წაახალისა

მან მამის გული.

ძმა კი, რომელიც გახდა ხარაზი,

„მასწავლებელმა“ ძლივს დალოცა,

დედამ ხალისით ცრემლი ლამაზი,

ჩამოყარა და წულებს აკოცა.

ეზო მოვრკალეთ მაღალ კედელით,



სოფელს ეფარა
 ჩრდილი სახლისა,
 მე კი, როდესაც გავხდი მჭედელი
 ჩამოუტანე მამას სახნისი.
 ასე დღითი დღე ჩვენ ვიზრდებოდით,
 წყალმა ძველი გზა ისევ მონაბა,
 აი სოფელი,
 სად ვითვლებოდით,
 ჩვენ შეძლებული გლების ოჯახად.
 მაგრამ როდესაც მამის ქონება,
 როგორც სოფლურმა ცხოვრებამ იცის,
 ხუთად გვეყავით,
 მე შერგო რალაც
 ათი ფიცარი და ქცევა მიწის.
 გახრიოკებულ
 ფიცრებს უცქერდი,
 ცოლიან ძმებმა
 მხოლოდ ეს მარგეს,
 მე ქცევა მიწას ვერ გაუჩერდი
 და ოჯახიდან გადავიკარგე.
 — შემდეგ სოფელს არ დაბრუნებიხართ?
 — დიდხანს ერთმანეთს
 გადავაფიწყდით,

არც ძმა, დედ-მამა,
აქ არ მწვევია,
არ მიმიღია მათი ბარათი,
არც მე იმათთვის მიმიწერია.
— მეფის დროს
ომში წაუყვანიხართ?
— ერზერუმამდი ამოკლექილთა,
განუწყვეტელი სისხლის ზოლია
და მოფენილი მათი ლეშითა,
ერზერუმამდი მე მიბრძოლია...
როცა მაზარა
დაჭრილ-დახოცილთ,
სისხლის ნაკადით
დამსველებია, —
მე უპატრონოდ მიტოვებული
ჩემი ცოლშვილი
გამხსენებია,
— მაშინ სად იყო თქვენი ცოლშვილი?
— ერზერუმიდან
ცოლს შეუთვალე
მე მისამართი მივიწყებული.
სახლშიც წერილი მიმიწერია,
როცა დამჭირდა მამის კერია:



„რა საჭიროა შავი მელანი,
 მოკითხვის წერა სისხლით მიხდება,
 ამხანაგები გვერდით მიკვდება,
 სკდება,
 ჭიხვინებს, როგორც მერანი
 ყუმბარები და
 სისხლი იღვრება...
 ცუდი ამბავი მოაქვს შენდამი
 წერილს, იტირე ჩემზე ახია,
 ათი წელია ძვირფასო მამი,
 მე შენი სახე არ მინახია.
 გადაკარგულს ნუ დამემღურები,
 ქალაქს დავტოვე უბედურები,
 იყოს ცოტა ხანს
 შენთან დგმურებად,
 ჩემი ცოლშვილი
 თუ გესტუმრება.
 თუ დედ-მამის მზე გადავიცანი
 გადამეყაროს თათრის მიწა მე.
 სახლში ხომ მერგო ათი ფიცარი
 და ნოყიერი ქცევა მიწისა...
 ყუმბარა მოდის
 ჩემსკენ ნაგეში,

სკდება, სიკვდილი...
სინათლე შეაქვს
მას ბნელ სანგრებში...
გულშემშარავი
დაქრილთ ხმებია...
ქუხს ქვემეხები...
მე შევეხები...
ჩვენი მკერდები
ერზერუმს როგორ დაჯახებია...
—ნუ გააგრძელებთ!
შევწყვიტოთ ომი!
ამ მოთხოვნების
არა ვარ მდომი,
მე ის მინდოდა...
თქვენთვის შეკითხა...
ამხანაგო დარაშელიძე!
სოფელში, ცოლ-შვილს დაბრუნებიხართ?
— შემდეგ?..
ომიდან დაბრუნებული
თუმცა ცოტა ხანს ვთოხნიდი ყანებს,
ვერ შევაჩვიე ლობეებს გული,
ქალაქს ცოლ-შვილი ჩამოვიყვანე,
ვერ მოვიმარჯვე ნამგალი, ცელი,

სხვა პრიმიტიულ იარაღთ გროვა;
ქალაქში დაყო ცხრამეტი წელმ,
მეტად მძიმე და ხანგრძლივი დროა;
ცხრამეტი წელის სიყაირათე,
სხვა მზე, სხვა ცა და ქალაქის ფონი,
გამოგეცვლება კაცს ხასიათი
შებნულდება და ლექსიკონი.
გადაგივიწყებს შენი თაობა,
ტოლ-ამხანაგი და მეგობარი,
გშორდება
სოფლის ნათესაობა,
ნაცნობი მთა და ნაცნობი ბარი.
აქ სულ სხვანაირ მზეს ეგებები,
სხვაგვარი დილა და საღამოა,
გშორდება
ძველი მოგონებები,
სხვა სიტყვები და გრძნობები მოვა.
— ახლა მიაშბეთ
თქვენი დროება,
თქვენი ბრძოლები,
და თუ შევიძელ —
შენზე დაეწერო მინდა პოემა
მე, ამხანაგო დარაშელიძე!



ჩემი ბრძოლები?
 იგი აგრძელებს, —
 არის წაშლილი
 და დაგმობილი,
 მაგრამ შემთხვევა და ერთად-ერთი
 ჩემთვის მზესავით არის ბრწყინვალე,
 გადაეარჩინე დახვრეტას მე თვით,
 კაცი მებრძოლი და მოწინავე;
 ჩემთვის ძმა-კაცი და მეგობარი,
 ჩვენს ფაბრიკებში
 კარგად ცნობილი,
 როგორც საშიში,
 კაცი მგარი,
 აჯანყებისთვის
 მუშებს აშხადებს,
 მის მოსასპობათ ძალებს რაზმავენ,
 იგი ფარულად მაინც აგრძელებს,
 ხელისუფლება დღე-ღამ დაეძებს
 გაუსწორებელ მიუმრავლესეს...
 აი ეს არის
 ქერქვეშელთ ბინა,
 ეარდარმერიამ აღმოაჩინა...



უბანს გარშემო პოლიციელთა
 გამხეცებული რაზმი არტყია, —
 ასეთ მომენტში გადავარჩინე,
 მე უღალატე მაშინ პარტიას —
 მე გავაპარე გრიგორიევი...

—

ძალიან კარგი,
 სიაშკარავე
 პოლიტიკური თქვენში ზომ არი,
 მე თქვენ მიამბეთ
 დაუფარავად
 წარსული

ცუდათ მოსაგონარი...
 ახლა იმაზე ვილაპარაკოთ,
 „ათი ფიცარი“ მსურს გავახსენოთ...
 ზომ არ მიიწევთ „ქცევა მიწისკენ“
 ზომ არ იღვიძებს
 თქვენს ხასიათში
 სოფლის სიმწვანე?!

იგი ჩაფიქრდა,
 დაუნაოქდა სახის ღიმილი...

.

უკვე თორმეტი დაკრა საათმა,




დარაშელიძეს ვემშვიდობები,
 მე ჩამიწერა
 მან მისამართი,
 (ფრუნზეს ქუჩა,
 მეხუთე №, ოთახი 13,
 სართული მესამე)

— შემოიარეთ
 და დაბეჭდვამდის
 თქვენი პოემა გამიზიარეთ.
 რაც მოგიყევით, გამომიცდია:
 ზოგის მომჭმედი,
 ზოგის მნახველი,
 ჩემზე თუ დაწერთ, როგორც იციან,
 არ შემიცვალოთ გვარი სახელი.

უკვე გამოველ,
 ტრამვას უცდი,
 აი მოდის და მოედანს უვლის,
 ქუჩაზე იდგა დეკემბრის სუსხი,
 ცა იყო სუფთა და გასარკული.
 გზაზე თავის თავს ვეუბნებოდი:
 მეთაურები მისი წარსულის
 ვაქციედ მტვერად,
 ჩვენმა მკლავებმა,

ორი მისამართი.

Handwritten notes and markings on the left margin:
 452471
 546545
 546545
 546545



ქალაქის ცის ქვეშ
ისე მოსპო და დაანგრია,
რა უყოთ, ძველად
თუ იყო მტერი,
ახლა ხომ ჩვენი ამხანაგია.
იგი მაძლევდა
ცნობებს ეკლიანს,
მშობლებისაკენ ხელგაშვერილი,
მე გადავწყვიტე
გამომეკვლია,
ნამდვილი სახე
დარაშელიძის.

დადგა ოცდა ცხრის ახალი წელი,
მიღის ზამთარი და გაზაფხული,
მე სხვა პოემის სტრიქონებს ვწერდი...
უკანასკნელი დღეა ზაფხულის —
დარაშელიძის ყოფა-ცხოვრება,
დაუმთავრებლად მაქვს შენახული.
შესაძლო არის
მისი ნათქვამი
არაა სრული,
ანდა ყალბია

და მეც, ამიტომ მაქვს განზრახული,
გრიგორიევთან
გამოვაკლიო
მისი ნამდვილი ბიოგრაფია.

გიორგი ღარაშელიძის ვინაობის
ბიოგრაფიული ნარკვევი

წინასწარ ავტორი ამხ. გრიგორიევის შესახებ

— კვდება,

მორიგი გმირის ბადალი
ძირს ეცემა და სული ელევა,
გავა წლები და ძველი სარდალი
ჯარს, აგერ-იგერ
გამოერევა.

წიგნში მიკითხავს გამბედაობა
მე. ბოლშევიკურ ჭერქვეშელების...
მიღის ქალარა ძველი თაობა,
როცა ეპოქა არის შენების.
მოღის ოქტომბრის შემოქმედება.
პიონერების დიდი არმია,
მათ ისტორიის ცეცხლი ეღება.

რევოლუცია მათ უსწავლია,
მე თქვენთან მოველ იმათთაგანნი,
თქვენი დღეები
სისხლით ნაბანი,
ვისაც, ლექსებად დაურაზმია, —
თქვენი ბრძოლა და
თქვენი ნაგანი,
მისი პოემის დედააზრია.

ამხ. ბრიგორიევი თაშის
ვინაობის შესახებ

„ჩემი ბაბუა
ჩემს უნახავად,
კერიის პირას, დაბერდა. მოკვდა,
მამაჩემი კი, სიჭაბუკეში
აქ, ქარხანაში მუშად დამდგარა.
სოფლიდან თუ რამ მოყვა გლეხური,
შემდეგ დიდია სხვადასხვაობა:
მამა პირველი,
მე ვარ მეორე,
შვილი, მესამე თაობა.
აქ დავიბადე,



ქალაქის ცის ქვეშ
 მითამაშია და მიმღერია,
 მამა, უკან არ დაბრუნებულა,
 არც მე მინახავს „მისი“ კერია.
 დიდი ხანია, გადავიცანით,
 არ ვართ ძმები და
 არ ვართ ბიძანი,
 ნათესაობა გაქრა სავსებით,
 სახით ერთმანეთს არ ვემსგავსებით.

აშხ. გრიგორიევი გიორგი
 დარაშელიძის შესახებ

შარშან ზაფხულში დასასვენებლად
 ერთად ავიღეთ ჩვენ შვებულემა.
 ქალაქელი ვარ, მოგეხსენებათ,
 მე აგარაკი შორს მეგულემა.
 მივალ იქ, სადაც
 შრომით დაღლილნი,
 მოსვენებაში დროს ატარებენ,
 ის ჩამომცილდა
 და შუალამით
 გაყვა ნამდვილად
 სხვა მატარებელს.

ძლივს ორთქლმავალი
მიგუგუნებდა
დაბლობებიდან
მალლობზე ზენეშით,
ირველივ ცაა და სუფთა ბუნება
და მე შევდივარ ფიქვნარის ტყეში.
ჩვეულებრივად ადრე ვდგებოდი,
გამიჯანსაღდა დაღლილს მე გული,
საუზმის შემდეგ მზეზე ვწვებოდი,
და მე დავბრუნდი დასვენებული.

ჩვენი გიორგი?

ჯანშეძლებული
ძველი მუშაა,
კიდევ ეტყობა,
სწორეთ ამიტომ
დარაშელიძე
წამოვაყენეთ
ჩვენ დირექტორად.
რამდენი წელი, ოფლით უღებავს,
დაზგა და ჯაფა ძალღონეს აცლის,
შესაფერისად საქმეს უძღვება,
ჩვენი ფაბრიკის ქალარა კაცი.

რა უყოთ თუმცა მისი დროება
ბოლშევიკურად აღარ ელვარებს,
ჩვენი წარსულის
ვრცელი ამბავი
ოკეანეა, წყნარი, მღელვარე.
სადაც წარსული დარაშელოძის
ჩაძირულია
როგორც მტრის გემი,
თუმც კაპიტანი ის არ უოფილა,
მაინც ამაზე ვინც მედავება,
ახასიათებს უარყოფითად
დარაშელოძის დაწინავებას.
„ენ“ ფაბრიკებმა როგორ ვარიყოს,
ჩვენთან ამდენ ხანს
შრომობს ერთგულად,
ძველი მუშაა, რაგინდ არ იყოს
კაცი, დაზვასთან დაშერებულა.

ქვეყანამ იცის
წარმოებებში,
რამდენი სპეცი
ჩვენი მტერია,
დავილუპებით




თუ არ აყვავდა
 ჩვენი მუშათა
 ინჟინერია.
 აღმშენებლობა
 გავაძლიეროთ,
 ძველი კერპების
 დღითი-დღე შეცვლით
 მუშა მოვიდა,
 სამაგიეროთ
 უნდა მოგვეხსნა
 საექვო სპეცი.

დარაშელიძეს უნდა ეთაეა,
 მისდამი ეჭვიც აქ იბადება,
 შემოიტანა გ ა უ ბ ე დ ა ვ ა თ
 მან, კომფრაქციის წინადადება.

ამხანაგი (გვარს ასახელებს)

როგორც ერთ-ერთი მომყავს ნიმუშად,
 ჩვენი ფაბრიკის ყოფილი მუშა,
 ჩვენ დაგვიბრუნდა როგორც ინჟინერი.
 დარაშელიძემ მიმოიხედა,
 ააწყვრიალა მაგიდის ზარი,
 საექვო სპეცი
 პირდაპირ მჯდარი

მას უყურებდა „ამხანაგურად“.
დარაშელიძე იყო ცნობილი
ჩვენ შორის
მუდამ მჭერმეტყველებით,
ჩვენ საამისო
სიტყვას ველოდით
და მით უმეტეს
იყო ვალდებული.
მაშინ წამოდგა ერთ-ერთი სპეცი,
ლაპარაკობდა ენა წყლიანი:
შემდეგ ვინანოთ
იქნება გვიანი,
ახალ ინტენერს
მოყვეს ზარალი.
მან „დაამტკიცა“:
— დაწინავებას
ჩემებრ ხალისით
ვერ ხვდება კაცი,
მაგრამ აქ თქვენებრ
ვიქნები შკაცრი
ჩვენი ქარხნების
საკეთილდღეოდ.
ამ „უპარტიო“ მჭერმეტყველებამ



ლამის შესცვალა განწყობილება
და კომფრაქციის დადგენილება,
ლამის ვერ იქნა გატარებული,
დარაშელიძეს უნდა ეთაეა,
მისდამი ექვი აქ იბადება,
ჩვენს წინააღმდეგ გაუბედავათ
მიემხრო სპეცის წინადადებას.

გიორგი დარაშელიძის საკითხი
კომპუჯრადის დახურულ კრებაზე

აცხადებს თავმჯდომარე:

ამხანაგებო! დარაშელიძე
როგორც ფრაქციის
ერთ-ერთი წევრი
და ხელმძღვანელი
გუშინდელ კრების,
დგას თქვენს წინაშე
ვით ბრალდებული.
ამხანაგებო!
დარაშელიძემ.
მოულოდნელათ
შესცვალა გეზი...

მისცა საჯაროდ
ხმა კომფრაქციის
საპირდაპირო წინადადებას.



„მას მერყეობა ახასიათებს,
ხშირად კრებებზე თავს შეიკავებს,
გუშინ კი უცებ, ნამდვილი სახე,
გამოამქლავნა
ყოფილ მენშევიკმა.

დარაშელიძე თავჩალუნული
კრებას ქურდულად ათვალისკრებს.
იწერს რალაცებს და ემზადება.
დამშვიდებულად თქვას საბოლოოდ.
დარაშელიძე კრების წინაშე
ზის, გახვეული თამბაქოს ბოლში.

„მენშევიკო“, ეს ბნელი სიტყვა
სისხლში დარბოდა ვით ელექტრონი,
მაგრამ ვერ ნახა, ვერ შეამჩნია
ვინ იძახოდა ასეთი ტონით.
ფრაქციის წესი თუ დაარღვია,
ამის შესახებ პასუხს აგებდა...



ის დაიჭირეს თითქოს პირველად
 ქურდობაში ამხანაგებმა.

კრებას თამამად
 ის ვერ შეხედავს,
 კრების თვალები
 მხოლოდ მას უმზერს,
 „მენშევიკო“,
 ეს სიტყვა სცემდა
 როგორც ჩაქუჩი,
 მას ბელატ შუბლზე.

ისე ესხმიან თითქოს ამ კაცში
 აღმოაჩინეს რალაც მტერიო,
 დარაშელიძე წამოდგა, მკაცრი
 შეურაცხყოფა მოიგერიოს.
 წამოიძახა: „ნუ მიყვირით!
 მე მენშევიკებს სასტიკად ვწყევლო,
 ტყვიამ გააპო მათი გამჩენი.
 მე, კომპარტიის ერთგული წევრი —
 მორიგ ბრძოლაში თქვენთან დავრჩები.

მე მომერიდა
 ინჟენერ სპეცის,
 თვალს ჩამაცივდა

პირდაპირ მჯდარი,
არ ვიცი, თუმცა, მგონია შევეცი...
მე კომფრაქციის დადგენილება
თუ დაეარღვიე...“
(კრებამ გააშავა დარაშელიძე).

აშხ. გრიგორიძემა „გაამართლა“
დარაშელიძე

„ყოველ ჩვენთაგანს ნების სიმტკიცე
გასულ ბრძოლებით აქვს დაპყრობილი,
ამ ბრძოლებშია ჩვენი გრძნობები
ბოლშევიკურად გამოწრთობილი.
ხან ამხანაგი გვერდით გეგულვის,
მას შენებურად ცეცხლი ეღება;
მისი გრძნობები მიძინებული
მენშევიკურად ამეტყველდება.
დარაშელიძეს ვიცნობთ ყველანი,
საზიზღარ წარსულს ზურგი აქცია,
მაგრამ ქალარას ვადმოყოლია
მენშევიკური „გრძნობის ფრაქცია“.
მეც თქვენებურად მოვიქცეოდი,
გამოვიდოდი, თქვენებურ აზრით,

იმის გარდაქმნას რომ უშველიდეს
სამართლიანი წყევლა და ბრახი...
მსურს ეპატიოს დარაშელიძეს,
არ გატარება მუშური ხაზის.
ათეულ წლობით დაზვასთან მდგარი,
იგი უთუოდ ჩვენი კაცია,
ბნელი წარსულის სიმაგრეები
მან, ნანგრევებათ გადააქცია.

გრიგორიევს
მე ვეთანხმები
პოემის გმირის |
შეფასებაში,
მაგრამ ვერ არის
ჩემთვის ნათელი
ბნელით მოცული
მისი ცხოვრება.
მე გადავწყვიტე
სხვაგან ვესტუმრო
ამხანაგ ვიორგი დარაშელიძეს.
მე ვეკითხები გრიგორიევს:
დარაშელიძეს სოფელი აქვს?
— მგონია, არა?!

დარაშელიძეს, დიდი ხანია
მე ვიცნობ
როგორც ქალაქის მკვიდრს,
რათ ჩააცივდით
ამ მუშას მარტო,
ხომ არ უპირებთ
„გადასახლებას“?

— განზრახული გაქვს
თქვენთვის დავხატო
დარაშელიძის
ნამდვილი სახე.
თქვენ ხომ არ იცით
მისი მისამართი?

— ვიცი,
ხშირად ვყოფილვარ,
ის ცხოვრობს
ფრუნზეს ქუჩაზე,
ეს არის
როგორც მგონია,
ერთად-ერთი
მისი მისამართი.



მე და ახვ. გრიგორიძე
 მივდივართ მეორე მისამართის
 გამოკვლევის მიზნით
 დაკარგული სოფელში

— მე თქვენ
 გუშინწინ მეუბნებოდით:
 „ის ჩამომცილდა
 და შუალამით
 გაყვა ნამდვილად
 სხვა მატარებელს“.
 შვებულების დროს
 როგორც დაღლილი,
 დასვენებაში
 თქვენ ატარებდით —
 ის კი?
 დასასვენებელ სახლში წავიდა,
 თუ სამუშაოდ
 საკუთარ სახლში?!

— ... აი რა არის გამოსაკვლევი!!
 მომწყვდეული ვართ
 საბჭოთა ეზოში,
 ჩვენ ვემზადებით
 ყვითელი ფრონტის

დღეს თუ, ხეალისზეგ
შემოსარღვევად,
რომ წაიშალოს საერთოდ ეზო,
კერძოთ:

საბჭოთა ეზოში

კერძო ცხოვრება და ეზოები.

დინჯად აგრძელებს გრიგორიევი,
— სოფლად ჩავეყარეთ მყარი, ძლიერი,
კომუნისტური საფუძვლები,
სოფლის ძველ ყოფას სახე უცვლია,
და ჩვენი ქვეყნის მწვანე ველები
განიცდის მედგარ რეკონსტრუქციას...

იშლება ძველი და ამ რიგადა,
ჩვენი ქარხნების ხელმძღვანელობით,
სოფელში მიდის ჩვენი ბრიგადა,
არა იმიტომ, რომ განამტკიცოს
დარაშელიძის „მიწის მეობა“, —
უნდა გარდაქმნას კომუნისტურად
ძველი გლეხური მეურნეობა...

ჩვენ შეუხვებით ფრუნზეს ქუჩაზე,
გვინდა გავიგოთ დანამდვილებით
დარაშელიძის სოფლის მისამართი.

— ჩვენს წინ დგას სახლი № ხუთი,



აედივართ მესამე სართულზე.

აი ეს არის ბინა 13.

აქ ცხოვრობს დარაშელიძე.

კარს ვუკაკუნებთ.

— ვინ არის?

განმეორებით კარს ვუკაკუნებთ.

— ვინ არის?

ისმის ქალის ხმა.

კარი გაიღო.

ქალი მაკვირდება.

თითქოს მცნობს,

კიდევაც მიცნო.

— რა ვნებავთ?

ბოდიშს ვიხდი

მე და გრიგორიევს

გვინდა ვესტუმროთ

ამხანაგ გიორგის,

სოფლად, საკუთარ სახლში.

თუ შეიძლება

გვითხარით მისამართი!

ქალს გაელიშა.

— დაგაგვიანდათ,

ქმარი სოფლიდან



დღეს ჩამოვიდა.

— აქ არის?

— დიახ! აქ არის.

— ეინ მკითხულობს?

(ისმის ბოხი ხმა).

— ის... მწერალი,

შარშან რომ იყო.

— მობრძანდით!

(გვეპატიება პოემის გმირი).

აა გრიგორიევი?

მობრძანდით!

დარაშელიძეს ესიაშოვნა

ჩვენი სტუმრობა, მოულოდნელი.

— ამას ენატრობდი,

კიდევაც მნახეთ,

ჩამოვიტანე მთელი სოფელი,

— მე თქვენთან ერთად

მსურს მთელი ღამე

დაუცხრომელად ვიმხიარულო.

თქვენ!?

(მომიბრუნდა დარაშელიძე)

ტყუილი გცოდნიათ,

წელიწადია აღარ მოსულხართ,

ხომ არ დაკარგეთ
ჩემ- მისამართი?
მე თქვენ პოემას დამპირდით,
თქვენზე დაეწერო...
დაგავიწყდათ?
— აი ეს არის,
ამხანაგო დარაშელიძე!
თქვენზე პოემა დღეს დავამთავრო.

პ ო ე მ ა რ ი ლ ი

როცა გიორგის სახე ამწვანდა,
ღვინომ თვალები
აუთაჰაშა და გაულიმა,
ოღნავ დამთერალი
გაღმოიხარა
ჩვენს ენ ქალარა
და ინტიმურად გვიახრა მართალი:
„სოფელი არ გაქვს?!
რა გეშველება!
პირი სოფლისკენ
ხომ კანონია!
მოგვარეთ



სუფრის დასაშვენებლად
ნაყოფი ჩემი კალონიას!

..თუ დაივიწყე შენი ოჯახი,
შენი ბავშობის სიზმარი მუქი,
წამოგეწევა სადმე ქარბუქი,
გაგანადგურებს,
დედმამის კერას
დაუბრუნდება
შუბლ შერცხვენილი.

როცა ქალაქში იდგა გრიგალი,
და თავს ესხმოდა ქუჩებს, ქუჩები,
მე ბავშვიანად მომსდევდა ქალი.
უნდა ცოლშვილი გადამერჩინა,
უნდა მენახა თავშესაფარი.
მოგაგონდება მაშინ სოფელი,
და მით უმეტეს თუ გაქვს სახლკარი.

..მე ქალაქშიაც ვრჩები გულლია,
მიყვარს სუფრული თქვენთან ქებითა,
ეს ტკბილი ღვინო ამომილია
საკუთარ მარნის ცივ ქვევრებიდან.
ხშირად ვიმღერი და მიმღერია
სოფლური გრძნობა რა ძლიერია!
ჩემი სამშობლო სახელქებული,

არის სადგურის ახლო მდებარე,
მის უკეთესი არსად მეგულის,
ან უკეთესი რა მყვარებია,
ამ სოფლის ცა არის ჩემი ცა,
და ეარსკელაეებიც
ჩემი ეარსკელაეებია ..
— სოფელი?
— დიახ სოფელი!
სოფლად ოჯახში
შვებულების დრო გავატარე,
ისევ და ისევ, მძიმე შრომაში,
წუთს, მოსვენებით ვერ გააბარებ,
სოფლურ ცხოვრებას გადაჩვეული,
ხელმარჯვე გლეხები,
სიმდიდრის მოლოდინში.
მინდვრად ღამეებს
ათევენ უძილოთ,
მძიმეა ოჯახი.
ღრმა და უძირო,
თუ მოსავალი გაუხვავდება —
ბელღებით,
ზვარებით,
ბაღებით დატვირთულს, —



მოხუცი მამა
 ვერ უმკლავდება.
 სხვა ამის გარდა,
 მდგომარეობა ხასიათს ავირევს,
 მე არ მცალია,
 ქალაქში ვარ და
 საჭირო იქნა
 მოჯამავირეც...
 მოვრჩი ყველაფერს.
 ეზოს გარეშე
 ჩალა თუ დამრჩა.
 შემოვიკრიფე
 წლიური სარჩო,
 ოქრო მოსავლის
 ხეავით ავივსე,
 არ ვარ ამაყი,
 რა კაცობაა სიუკადრისე —
 სოფლურ ხორავით აქ გეახელი,
 მშვიდათ დაეტოვე
 ეზო და სახლი,
 ჩამოვიტანე
 ტყბილი მაქარი,
 გოჭი, ქათამი,



და ჩემი სახით,
 ფეხი შემოდგა აქ შემოდგომამ.
 გრაცგორიევმა
 სახე შეიკმუხა
 (დარაშელიძე გახდა ნათელი)
 — მოგიტანიათ სოფელი უხვად,
 მაგრამ არა ვარ თქვენი დამცველი.
 „ენ“ ფაბრიკების
 ყველა დაზგები
 ხმას აიმაღლებს,
 დავირაზმებით,
 რომ ვაწარმოთ
 „სასტიკი ბრძოლა,
 ორ მისამართიან
 ყოფის წინააღმდეგ“.
 მოქალაქე დარაშელიძე!
 თქვენ არც მუშა ხართ,
 თქვენ არც გლები ხართ,
 მაგრამ ამავე დროს კიდევ ორივე.
 ჩემთვის მზესავით არის ნათელი,
 შენში რომ კიდევ გლების ძვლებია,
 მისამართები შენი წარსულის
 და მერყეობის საფუძველია.

სხვა გზა არ არის
თუ წარსული გინდათ უარყოთ
უნდა უარყოთ ორი მისამართი.
პირველი:

აი, ეს სახლი ფრუნზეს ქუჩაზე,
მეორე:

სოფელი, სადაც სადგურის ახლოს,
სადაც გქონიათ:

მიწა, ბაღი და ზეარები,
სახლი, ეზო და კარი,

სადაც გყოლიათ მოჯამაგირე,
და ყოველ წლობით შემოდგომისას
შვებულებაში მიემგზავრებით.

ქალაქში გიცნობენ
ქედმაღალ მუშად
სოფელში ყოფილხართ:

გლები და ისიც,
თურმე ბობოლა...

სხვა გზა არ არის,
უნდა მოშორდეთ
ერთს ან მეორეს,
საქმეს აფუქებს
აქაც და იქაც

ორგვარი ხელი.

მე კი მგონია

ქარხნებს აირჩევთ,

ისე მძიმეა ცხრამეტი წელი —

ცხრამეტ სართულებს

ისე ალაგებს —

გძლიოს სოფელის

ლობემ და ალაგემ?

აქამდი გული გლეხურად გერჩისთ,

სოფლის სიმწვანეს

და საკუთრებას დაუმონიხართ;

მე კი, ქალაქის მკვიდრი მგონიხართ.

დიდხანს არჩევანს ნუ მოუნდებით.

მუშური ხაზი უნდა გამართოთ:

ა მ ო ი რ ჩ ი ე თ, მ ტ კ ი ც ე მ უ დ მ ი ვ ი

ს ა ბ ო ლ ო ო თ ე რ თ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი.

კურმარილის ღალატი

აეტორისაგან მოქ. დარაშელიძეს

ვააშკარავებ

ქმარ ვინცა ხარ,

სოფლის სიმწვანეს

რამ შეგათვისა.



ნურას მიძრახავ,
 თუ საიდუმლოთ
 არ შემინახავს
 პატივისცემა
 თქვენი სუფრისა.

ვანხორციელებ ჩემს დაპირებას,
 ორგვარ ცხოვრების გამომსახველი;
 თქვენი თქმისამებრ, როგორც იციან,
 პოემისათვის არ შემიცვლია
 თქვენი გვარი და თქვენი სახელი.

მკითხველებისადმი

დიად სამუშაოს გმირულად ეწევა
 კაცი, რომელიც არის მისაბაძი;
 მე მიზნად მჭონდა თქვენთვის დამეწერა
 პოემა სათაურით: „ერთი მისამართი“,
 რასაც ველოდი ის არ მელირსა,
 მეგონა მუდამ ის აქაური,
 და მე პოემა დამთავრებისას
 გადავასწორე სხვა სათაურით.

1928

I

რეპეკას ბარათი

— შორეული ქალაქში მეგულები მე გულო,
 შეილო, იბედნიერე და სახელით ამაშენე!..
 ბედნიერი დედა ხარ, — მეუბნება მე გული ..
 სახით ჩემო გოგონავ ემსგავსები მამაშენს.
 იცი? ძალზე ახველებს მოხუცებულ საბასა,
 დლიდან დღეზე მოელის ქელეხობას სოფელი,
 ახურია საცოდავს დაფლეთილი საბანი,
 ბოდავს სულელებს წინაპართ,
 პირ დაღებულ საფლავეებს.

ტანშიშველი ხეები ილუნება ზვინებით,
 ველებიდან ველებზე ჩხიკვი გადაიჩხავლებს;
 ხან ლაშქარი ჩიტების ქოხებს შეეხიზნება,
 ხან კი, ქარი მიაფრენს ქარვისეულ ყვავილებს.
 ნაჩალარი მინდვრები მღუმარებით მიმზერის,
 რქებით მიწას ბულრავენ ნიშა, ბულა ხარები;
 გაიტენა სიმინდით ჩვენი დიდი მალაზა, —
 დაიყურსა ნაყოფით ბალში ფორთოხალები.

და ჩეროებს კედელზე ლამით აღარ ეშვება,
იჭერს ლანდებს შენი და,—ძალზე მომცინარე,
შენი სახელობის ხბო დედას ეთამაშება, —
მალე ხარი გახდება, ხარობს მცენარესავით.
იცი? გოგო, დედაშენს თმები აეჭალარა
და, ოხერი სიბერე ჩუმად შემოეპარა.

მინდა შენი გათხოვება აღარ დაეაგვიანო,
მინდა ახალ ოჯახში, იგრძნო თავი ნეტარად.
გოგო გიშურ-ნაწნავეს მოუარე ლამაზად
და იცოდე რუსულად ნულარ გაიპარსები,
შენ ისეთი თმები გაქვს, შეშურდება ავაზაკს, —
მკერდზე დაღალ გადმოყრილს,

სახე გაღმასდება

გოგო შენი ქალობა მინდა ისე ვიხილო,
სამარეში საოცრად გაუხარდეს მამაშენს,
მინდა შენი ქორწილით თავი დავისახელო,
მინდა კარგი მზითევით გული ავითამაშდეს.
ჩემი დარიგებანი კიდევ დიდხანს გჭირდება,
ერთხელ ვილაყ ყმაწვილი კარგიაო, მითხარი,—
ნუ ენდობი ნურავის თორემ დაგაჭორებენ
და შე ჯავრით მოვკვდები, იქნე გაუხარელი.
ვიცი აღარ შემარცხვენ, ისე გონიერი ხარ,
ტფილისელი ვაყები ველარ მოგატყუებენ,



თორემ უბედურება შენზე გაიმერებებს,
მაშინ უკეთესია დაიხალო ტყვია გულს.
უბედური შოშინო, ჩემგან ვაგიგონია,
როცა მოგიყვებოდი ცრემლით გაგუბებულხარ.
მაშინ უკეთესია მოიკიდო გენია,
ქალაქიდან ცოცხალი ნულარ დაბრუნებულხარ.
ვიცი, გაგელიმება უღრამატო ბარათით,
მაინც შორით გეხვევი, გულო, გულით მიმიკარ,
იყავ ასე ჯანმრთელად ჩემო შეილო, მარადის,
ქკუით ასიაშოვნე დედაშენი რებეკა.

II

მ ო თ ხ რ ო ბ ა შ ო შ ი ნ ო ჯ ა

ღელავს ეზოში ლუჯი ყანა დღეს იღლიამდე...
ზორბა ქაბუკი გოგო, მამას რომ ეხმარება. —
მალე სადილი მიუტანე, — დაგავიანდა!
და ჩაღის კონაც დაუყარე მშიერ ბულა ხარს.

სარწყულით წყალი ამოუტანე მოელვარეო,
შეკრთი, ქურდულათ



თმებზე ჭაბუკი რომ გეამბორა;
 გულ-მკერდზე ღოჭით
 წყალი სიცილად შემოგაღვარა;
 შემოგანათა, თვალებში ორთ მზე ჩავიგორა.

შრიანებს ტყე და,
 ფერად ბუნების რბევა გახარებს,
 თეთრი გედივით უცდი საყვარელს,
 გულს იმანებ;
 გცივია სახეზე ტყის ყვავილები,
 ცეკვით, ხარხარით,
 და ნეტარების მოლოდინით
 გული აივსე.
 არ იცი რამე
 სიხარულის, ტრფობის გარეშე,
 ასე გგონია
 ყველა იცინის და დამტკბარია,
 ვნებას არ სჯერა
 სხვა კანონი, სხვა ანგარიში, —
 მიყვები სისხლის მღელვარებას
 გულ-ატბორებით.
 მოგიახლოვდა გული გიყი, განამწარები,



იწვი კოცნაში
 ტყის სიცილით მოთოვლილი ხარ,
 უმანკო ვნებით
 შეილება ყვავილნარები
 და ნაფუტკრალი ყვავილივით მოთენთილი ხარ.
 არ გიღალატებს, თუ ცხოვრებამ არ უღალატა,
 ქაბუკს უყვარხარ
 ფეხშიშველა ლერწა შოშინო,
 მზე გაგორებულს,
 ღამე გულში მოგეკალათა
 და სიქალწულის ტკივილებიც
 გიშოშმინდება.

გავიდა ხანი... ჩაქრა იმედი, მზე დაგიმარცხეს,
 შენ შემოდგომამ მოგიტანა ეს ტკივილები,
 მოგიკლეს გული, შენ გაწამებენ და შეგარცხვენენ
 და შემატებულს, ქოხში მშობლებიც აგაკივლებენ.
 დარჩები მარტოთ ყველასგან ახირებულნი,
 თავს ჩამოიხრჩობ
 კვამლით გარუჯულ სახლის დირეზე,
 შენ განიზრახე ამ საშუალებამ მოგიღოს ბოლო,
 აი მარტოთ ხარ და ქოხის კარი შიგნით დარაზე.



სკამი გაიგდე... მაგრამ სიკვდილი აღარ გადროვეს
შენ გნახეს ბაწრით ქანაობდი გალურჯებული,
იკივლა დედამ, მოგეშველა ისევ ადრიან —
ყელგასისხლულმა ამოახველე გული ჯავრებით.

გეყოლა ვაეი...

გეუბნებიან: უკანონოა...

იგოძენი ბავშვის სიყვარული

უძლიერესი;

ძვირფასო ქალო,

ვერ გადურჩები ასეთ მონობას...

შენ გაიღიმე:

იქნება შვილით კარგი მერმისი.

აღარ გადროვეს ქალო დედობა,

წაგართვეს ისიც.

თურმე ვილაცა არის უშვილო

და ბერდებო,

მიიღებს იგი...

და შენს მომავალს შებოქავს ნისლი,

რომ დაგიბრუნონ

ყალბი, ქალწულის მდგომარეობა.

მშობელის მკერდზე

ლორთქოჲ ძუძუებს შეუჩვეველი,
ლაშით ვილატას
აივანზე ბავში დაუგდეს,
ქვითინებ, მაგრამ
„უკანონოა შენი ჩივილი“ —
შენთვის ახალი ბედი მონახა
მოხუც დეიღამ.

გოგო უხვი სოფელი არის საბალმარვანი,
გეუბნები მომავალს შენ კარგი დეიდა,
ზუგდიდელი ბეჟანი, ავსებული მარანით,
და რაც სიამაყეა. — ეზო-კარი მდიდარის.
დარდებს თავი ანებუ გული დაიშოშმინე,
შენ იღბალი გილიმის, სიხარული ორწილი.
ბეჟანს მოეწონები, მშვენიერო შოშინო —
მალე ვიმზიარულეშ შენი დიდი ქორწილით.
მიგათხოვებ გოგო შენ, ვიცო იბედნიერებ,
უმაღლოდ დეიდას შენთვის, რომ იწირება,
შენ მოგივა სანიშნო, გოგო, მრავალნაირი,
ქმარი ჩოხოსანი და ულვაშ შემოწერილი.



ბ ე შ ა ნ:

აიშალენ ძაღლები,
ლაშის ხევას ბედავენ.
ხედავ მოვათამაშებ
დაუდეგარ ბედაურს.
გოგო, შენტვის შარაზე
ვარსკვლავები დაყარეს,
შენ არალეს გიმღერის
შერჩეული მაყარი.
გოგო სახე გაშალე
და სიცილი მახარე,
აისროლეს მაშხალა
შენტვის ახალ-ახალი.
გავიარეთ, ინგრევა
უკან გიყი ენგური, —
ნისლი შემოიფანტე
გოგო, ბედს ნუ ემღერო.

დ ი ა რ ა მ დ ი:

ვაეო პირი იბრუნე, თვალში ნულარ მიყურებ,
ნუ თუ ასე გიზიდავს სახე ოქროს საყურით,
ხელში დაუღალავად ვატრიალებ დაირას,
არის ტაში, ტაში და უკრავ ნაირ-ნაირად.



საქართველოს
ქვეყნური ბიბლიოთეკა

მომწონს შენი ცეკვა მე, რომ წრე შემოახაზე
მეტყვი: შემობრალეო, ვიჭერ ა, შენ ცხვირსახოცს.
მღერის გუნდი ჩაგუნას... და ჩონგურზე მაირა,
მეგრულ ლექსებს ამღერებს, უკრავს ნაირ-ნაირად.

მ ე ი შ ი:

ღიარაა გართული,
დაკლეს ბევრი ხარები,
მდიდარია ამ ღამით
მასპინძელი ღარიბი.
შავ კედელზე იცინის
კერას აპრიალება,
თუთრი ტანისამოსი
სახე ფერად ქალების.
ისმის ახლოს სიმღერა,
დაქორწინდა შოშინო,
სეთა მოწყენილია
პატარძალო უშენოთ,
თქვენ კიშკარი გაუღეთ,
ჯებირები აყარეთ,
აა! სროლით, ქუხილით
შემოფრინდა მაყარი.
გოგო შემოიყვანეს,



ხევეში ოქრო ერიოს,
 თქვენ პატარძალს უმღერეთ,
 „კუჩხა ბედინერიო“.
 ასდის ცხელი გოროთი,
 ქობს გაგუდულს, ისლიანს,
 და ლოთები სუფრიდან
 თოფ-დამბაჩებს ისერიან.
 ვილაც გაყოყოჩებით
 არის მთაზე მალალი,
 არის სმაში ყოჩალი, —
 უყვარს აყალ-მაყალი.
 მერიჭიფე დაასხი,
 მე მუცელი მეშვება,
 მიყვარს ასე ქეიფი,
 ღვინით შეზარხოშება.
 გოგო, შენი მზერითა
 მეწამლება მე გული,
 აა ჩემი სიმღერაც
 გითავაზე მეგრული“,

მოსუცი ბოლშევაში

მე ოჯალეშის მეფედ მიხილეს,
 ძირს მთვრალი ხალხი როცა ეყარა,

ქეიფში მქონდა მუდამ სახელი
ბევრჯერ ცყოფილვარ ასე მაყარად
ერთხელ მურზაყანს ჭონდა ნადიში,
მე გულში მომხვდა, როგორც ეკალი.
მეტოქემ ღვინო ძირს, რომ აღინა
და თითქმის ხელში შემოვიკალი.
გათენებამდი გადაირევით,
ბევრი მარცხდება ჩემს ტოლობაში.
გჯობნით სმაში და გაშაირებით
თქვენი მოხუცი, დღეს ტოლუმბაში.
ოთხმოცი წლები სულს მიხუთავენ,
მხრჩობდა სისხლი სიჯეილეში,
ცხოვრება სმაში დავახურდავე
ბებერმა, როგორც ხე ოჯალეშის.
რა მსხვილი იყო ტანი ვენახის,
დიდი ხის შტოებს გადატევენილი,
ავსებდა ხარბად მამის საწნახელს
გორად ამდგარი ზვინი მტევენების.
გვიდულდა სისხლი მარნის ქვევრებით,
ვმართავდით ქეიფს საგვარეულოდ,
და ღვინის ძალა ტვინში აღვრილი
გვანალისებდა ვით გარეულებს.
ახლა როდესაც ველოურ ხის ხარდანს

ვუმზერთ გარუჯულს, სენით გაღეშილს,
გახმა ძირეულ, ან გადაგვარდა
და ესვამთ სამძიმარს ჩვენ ოჯალეშის.
თქვენ შეჯიბრების იქნებით წიერი,
ჩვენ ღვინო ბლომად ხომ გვეშოვება
გათენებამდის დაწვებით ბევრი
ვინც კი, ჩემსავეით გაიღეშებით.
და დილით ხიდან მე ჩამოვაგდებ,
ერთი გასროლით ქათამს ბუმბულას,
ვთვრები, ცხოვრებას არაფრად ვაგდებ
და საუკუნით ვარ გაგუბული.
გამომიცილია ცხოვრების თასი,
ველად მზის სხივებს ვჭრიდი ნამგალით,
ვარ ჩამოქნილი ვით ღვედი-თასმა, —
მე, — მთებში ხშირად ნააბრაგალი.
გავივსებ მუცელს გომბეშოებით
გახუნებული შავ ჩოხასავეით,
მოვიგრებ ფიჭრებს, როგორც ულვაშებს.
და მზეს გაუშვერ მკერდს ჩახხვსებულს.
ხან მოგონება ოქროებს სჯობნის,
მამის მუცელი: ქვევრი და გუდა, —
გატაცებული ტახების ჯოგით
სეამდა და ნადირს დასდევდა მუდამ.

ბევრი ჩვენგანი ჩადგება ლაფში,
და თუმც სიბერე ყელში მაწვება,
მე ჯიელივით გავაქენ ლაფშას
ცინცხალ დილაზე ვერცხლის ყანწებით.

დ ი ლ ი თი:

პატარძალი შოშინო

ლამაზია

გერიტივით,

იმორცხეება ზამთარის

შორეული

მზესავეით;

ვაემა, შემოლამებამ

გული

აუტიეტივა,

უნდა მარტოობაში

ბეეანს

ენათესაოს.

ღვას

ი ო რ დ ა ნ ე

შუახნის

ულვაშ შემოგრეხილი,

მკერდზე ვერცხლის ქილები
ალამაზებს ძალიან, —

„მიწავ, მამა-პაპისავე, ბედმა კარგად გიხილა:
ცას მნათობი მოწყდა და ჩემი პატარძალია.
ვამბობ ბედნიერი ხარ ჩემო შვილო ბეჟანი,
მშვენიერი შოშინოს ვერვინ შეეღარება.

თაფლის თვე და ლამენი,
უტკბილესი დროეაში,
გულში შემოგვხვევა საუცხოვო დარებით...
მამაჩემის

ღიმილი იყო მშვენიერება,
დედაშენი

მზითევით თუმცა იყო ღარიბი.
მაგრამ უმანკოება, არის ბედნიერება:

როცა ქმარის საწოლზე
მხოლოდ დაიღვარება.

ოდა სპილენძეული
ჩემო ბეჟან გეთმობა,
სანაევადოდ, სატახტოდ

მეფე-დედოფალისა,
კარგად დაასაჩუქრე ტახტის დამლაგებელი
და შოშინოს ალერსით
გული გაიხალისე.

ჩემო მოხუცო თოლი,
 ჩემო, ერთგულო ქმარო,
 ბარზე მოვიდა თოვლი —
 ჩაგვიდგა გულში მთვარე.
 ტაიქს უჭერდი აღვირს,
 ახ, თუ დაბერდა კესაც.
 გაიცხოველე ძარღვი,
 შენ აბედით და კვესით!
 თაფლის ლამეებს ვწლიდით,
 ვსვამდით სიყვარულს ნეტა,
 ახლა კი ჩვენი შვილი
 ქალწულს ეხვევა ნეტარს.
 ზეწარს ვიხილავ დილით,
 ო! გაეჩხარებ თუ მან...
 არ უღალატა მანდილს —
 შვილი მაჩუქებს თუმანს.
 ჩვენ ბედი ასე ვკერეთ,
 ასე დაბერდა გულიც.
 ორივე უზივართ კერას,
 ცვივა ნაცარზე ლული.



წარსული, როგორც ელვა, ქარცხენი,
 გაირბენს, — ცრემლი ეფრქვევა საბანს,
 უსმენს შოშინოს თეალებ დარცხვენილს
 სიტყვასთან სიტყვას სლოკინით აბამს:
 მომიკლეს სატრფო, და სანანაო,
 სისხლით სერავდენ მთების უღელხიდს,
 როცა ლაშქარი აღიხანოვის
 შფოთიან სოფელს კისერს უგრეხდა.

ცოლის უქალწულობა
 ბეჟან ლოდათ გეცემა,
 მაგრამ იგი დაუთმე სახეს ამზეურებულს,
 მისი მკერდი გაშლილი
 და თვალების ციმციმი
 საყვარულის უნაზეს გრძნობით გეხმაურება.

მაგრამ დილით იორდანემ, რომ ასწია საბანი
 და იხილა უსისხლოდ დედოფალის ზეწარი,
 ბრძანა ბარგი-ბარხანით დაუბრუნეთ მამა მის. —
 ბრაზით გაგუდებულმა დაანთხია სიმწარე.
 „ცოლი გაბაზეებული ბეჟან ნულარ გინდება,
 და რა საშინელია:
 ბედი დაკარგულისა,
 ნივთი უსარგებლოა

როცა გაგიხუნდება —
ვინც დაკარგა ნამუსი,
სისხლი სიქალწულისა“.

ბ ე შ ა ნ:

ნუ აყვები სიბრაზეს,
და დაუთმე ის...
არ მოვიყვან შე სხვა მზეს —
მას ცრემლები სდის.
მამა თუ შენს გაიტან,
წყდება ბედის თმა,
დაბნელებს მზე ლაიტის,
დამემსხვრევა მთა.

ი მ რ დ ა ნ ე:

არა, არა ათასჯერ, არის გაუგონარი,
ოდამ სახელგანთქმულმა
ვაბახება იკადროს, —
მე ოჯახის მეფე ვარ, ჩაიკმინდე ხონარი! —
ქალმა ნამუს ახდილმა ყელი გამოილაძროს.

შ ო შ ი ნ ო:

შენ კი მირბიხარ უკვალო გზებით,
რისხვას და სირცხვილს გამოეპარე,



შენ გონებაში გადაწყვეტილად
ბნელი ზრახვები შემოიფარე.
ასე მორბიხარ — ენგურის პირას,
კრემლმორეული გეძებს ბეჯანი,
ბედკრულო ქალო მამის ეზოში
დაიწურება შენი დრო-ჟამი.

დალალ გამლილი ვალალებით,
მხოლოდ დარდი ზარ,
ფიქრობ შეგრცხვება კუბოს ზარი, რომ მოეხვევა,
უკანასკნელად ნაჩვევ ეზოში მწარეთ დარბიხარ,
რომ ყოველ საგანს სიხარულით გამოეთხოვო.
აგდია ქალა შემოდგომის აერტანილი,
რქებ მოგრებილი ბულა ეზოში წევს სიამაყით,
გიყურებს ოდა ვით მწუხარება აუტანელი
და სიჩუმეში ზეცა უბედურთ ვარსკვლავებს გაყრის.
გადაიკრიფენ დღეები, როგორც თეთრი გედები,
ოდეს დარბოდი მამის ეზოში შენ ფეხშიშველა,
ცარიელდება შემოდგომით სავსე გოდრები
და მოგონების ტკბილი წარსულიც ველარ გიშველის.
შენ გელანდება სად დაიღვარა ქალწულის სისხლი,
მაისის ტყეში აყვავებულ ბალახებს შორის,
გიყვარდა იგი, მას ლამეები თავზე დაესხა,

ტყვეთ შეპყრობილი,
მოგიკლა მეფემ შვის სიშორეში.
ამ წუთში ფიქრობ,
შენთვის დაკარგულ საყვარელ შეილზე,
შეილზე, რომელმაც
სრულებ არ იცის შენი დედობა,
შავი იღბალი, როგორც აჩრდილი
თვალეებში ვიმზერს
და შენ შეშლილის ამღვრეული ალი გედება.
შესდექი სერზე, ზეცას ესროლე მზერა: მიშველეთ!!
მშობლებს კივილზე, გაეზმორათ სიზმარეულად,
ჩაეშვი ქაში თან ჩაიტანე ღამე შიშველი...
და ამოსწურე შენი ცხოვრების მწარე რვეული...

III

შ ა ვ ა ც ხ ო ნ ა ს

პასუხი, რიბეპას:

სატრფოს ფიქრებმა თუ იმთაბარა,
თუ მწერდი ერთბელ, როგორ არისო,
როგორც ქუჩების ძველი ავარა
ცხოვრებას ისევ იუარესებს.
დღეს რაღაც „ცოლი“ მეუცხოება,
და სიტყვა: „ქმარიც“ იკვებით მავსებს,

ხვალ რა ვიქნები შავა ცხოია,
რომ ჩარჩოებში არ მოვეთავსე?
ძვირფასო დედავ, ნულარ იჯაერებ,
გჯეროდეს მტკიცედ: აღარ შეგარცხვენ,
არა ვარ მიწა მე ხომ, იჯარად
ქმარის მამულში, როს ჩავირიცხო.
არ ვარ შოშინო ცირა მონობის,
მე გავეტაცე ახალი მზითა,
შენ საქორწილო ცერემონიებს
თურმე ფიქრობ და ამზადებ მზითევს.
შენ წერილებში ხშირად მარიგებ:
პირველი ლამეს, ქმართან დაწოლით,
ნუ შერცხვები და, თვალს ნუ მარიდებ —
უნდა იხილონ სისხლი ქალწულის.
მწერ: „მოუარე გიშერ ნაწნავებს,
რუსულად ნულარ აიქოჩრები“, —
დავეყრი დალალეებს, რადგან მაწვალეებს, —
ჩვეულებას ვერ დავეჩოქები.
დედაო, ვიცი გამიჯაერდები,
რომ უარვეყაეი შენი ტაძარი,
გსურს დამაყარონ თავზე ვარდები
და ნატრობ შევას პატარძალობას.
ჩემში მომწიფდა გაპიროვნება,

ლამე წამებით რატომ ვათიო,
არა ვარ მარტო სიამოვნება
ქმარიდან ქმარის ხელში მათრიონ.
მე განვიზრახე: — ამ გზით ვაეიარ,
ყოფაში გაშლილ მზეში ვთვერებოდე,
რა უაზრობა, რა სიაყეა,
რომ ქმარისათვის ინივეთებოდე.
ჩემი ფიქრების მეთათსედიც,
თუმც ვიცი ძლიერ გეუცხოვება:
რათ ჩაიღინა საქმე ასეთი?
რათ ილუპება შავა ცხოია?
მახსოვს შოშინო, ცირა მონობის,
მე კი მოვდივარ სხვა გვარი მზითა,
ნუ აწყობ ბებერ ცერემონიებს —
თავი ანებე ქორწილს და მზითევს.
ჩემს ქალწულობას ნულარ იჯავრებ,
სხვა ვარ ახლა და სხვა ფერ ვიცხოვრებ,
არ ვარ ნიეთი და მიწა, იჯარად
ქმარის მამულში, რომ ჩავირიცხო.

1927

ჩვენი გაცნობა ასე იწყება:
 ჭერქვეშ ერთმანეთს მოვკარით თვალი:
 ბრძოლაში ჩვენი თავდავიწყება,
 ბრძოლაში მე და მებრძოლი ქალი.
 ჭერქვეშ ორივემ ერთი გზა ვნახეთ,
 გულებმა იგრძნო აქ სიყვარული:
 ზარამ დასწყევლა მტარვალის სახე,
 ზარამ გამართა კრება ფარული.
 ზარას აცვია რუხი მაზარა,
 თავზე ახურავს ქუდი კრავისა,
 ცეცხლი და ტყვია მოიხაზირა,
 რომ მოიხმაროს ღონე მკლავისა.
 მტრის გვარდიით ვართ გარშემორტყმული,
 ველით ამელამ განადგურებას,
 სწყურიათ ჩვენი სისხლი და გული
 და სამარეში დასადგურება.
 მრავალთა დევნას ვერ გაუძელით,



ამელამ სადმე გადვიჩეხებით,
მიგვეყვება ზარა თან მაუზერით...
და ჩვენთანაა რაზმი რჩეული...
გოგო-ბიჭები მიიმლერიან,
როცა ყუმბარა სკდება მეხივით: —
ეს ალბათ ირგვლივ ჩვენი მტერია
ზარას გარშემო შემოხვეული.
ვხედავ ისევე მიიმლერიან:
„შუა ლამეში სროლა გაჩაღდა,
ეს ალბათ ზარას მაუზერია
ქალი, რომ ტყეში დადის ყაჩაღად.“

მის შემდეგ გაქრა წელი, ორი, და
(იციან სისხლიც ბევრი დავლვარეთ)
როდესაც ჩვენში მზე ამოვიდა,
ჩვენც ჩამოვედით ბარში ნალარით.
ვინც გადაურჩით... მთებში დაღლილი
ჯანი, ბრძოლისგან ძლივს მოვასვენეთ,
როს საბჭოების დროშა მალალი
გულს სიხარულის გრძნობით ავსებდა.
როცა გმირების ქუხდა სახელი,
ზარა გიწოდეს მაშინ არწივი;
მოზღვავედა ხალხი, თვალეზ-ახელილს,

რომ სიხარული დაენაწილა...
რბოდა დღეები... შურისძიებით
ზარა დაელიეთ სისხლი მეფური,
მაგრამ სადღაა მკერდზე ბიები
ვენებით და სისხლით დამწიფებული.
აქ უცებ აზრმა გაინებივრა,
რადგანაც კვლავ გულს ვერ ეგულები, —
ზარა, თუმც ისევ მეგობრები ვართ,
ალარ მიყვარხარ მაინც სრულებით.

ზარას უეცრად ფერი ეცვალა
სახე ერთბაშით აელაღარა: —
ქალი ამდენხანს მთებში ვიწვალე,
ქალი ვის უნდა ნაყაჩაღარი?
ეთქვი: — რათ არ მინდა მასთან ვიყო მე.
ხომ მთებში ხელი გამომიწოდა,
რათ არ შევიძელ ისევ მიყვარდეს
ზარა, რომელიც ჩემთან იბრძოდა.
მობრუნდა ზარა, სთქვა გაღიმებით: —
გახსოვდეს მაინც დღეს სამაზრკომში:
ქერქვეშ ბრძოლაში გამოვლილ, დაღლილს,
რომ მეუბნები ვნების კომშებზე...
დავშორდით, როცა მზე გადახრილი

გაცდა აივანს სამაზრკომისას,
კიოდა გულში მთების ძახილი,
და ხმები ზარას მაუზერისა.
რათ არ ვიფიქრო მინდა ამაზე,
თუ ჩავივლინე დანაშაული,
რათ მომეწონა სხვა სილამაზე —
ვისაც ბრძოლის გულს ვერ გადაუშლი...
დღეს მყავს მეუღლე და თავს უბრუნებ,
ვერ ეუმხელ რაც კი ტვინში გამივლის,
მე მყავს ბავში და მას სწოვს ძუძუებს,
საბავშვო ბაღის ერთი ყვავილი.
ველარ ვენდობი ცოლს საიდუმლოს,
რაც ჩემშია და ბრძოლის გულია,
ოჯახი, როგორც სურდეს აბრუნოს,
სხვა ყველაფერი, დახურულია...
გავიდა წლები, მას შემდეგ ზარას,
ერთხელაც მინდა დავინახავდე,
ვიცი საქმისთვის მალე ვიმგზავრებ
და ვფიქრობ გულში, როგორ დამხედება?!...
თუ წავალ მალე, ვფიქრობ ამაზე,
ლოდინი მძიმე გულს ემატება,
აღბად ახლობელ, ჩვენ ყრილობაზე
შევხვდებით, როგორც დელეგატები.



გამიხარდება: ჩვენი წარსული
 და მეგობრობა, სისხლის ზოლია,
 ქერქვეშელებთან, ერთად გავსულვართ,
 ორივეს ერთად, რომ გვიბრძოლია.
 კიდევაც უკვე მივემგზავრები,
 ვხედავ ბაქანზე რჩება მრავალი,
 ვზივარ და ვფიქრობ ისევ ზარაზე
 და ასე გარბის თან ორთქლმავალი,
 ჩვენ წარსული გვაქვს ამხანაგური.
 ერთად დღეები ვატარეთ ბევრი...
 უკვე გამოჩნდა თანაც სადგური,
 მოადგა ბაქანს მატარებელი.
 მე სიახლოვე მისი მაქეზებს,
 ვიცი აქ არის, თვალი მოვკარი,
 ზარა სალამი, ხედავ დაგეძებ
 თანამებრძოლი და მეგობარი.
 მე ახლაც მახსოვს: ჩვენი წარსული
 და მეგობრობა სისხლის ზოლია,
 ქერქვეშელებთან ერთად გავსულვართ,
 ორივეს ერთად ხომ გვიბრძოლია...
 დგახარ ამაყად თმა გაპარსული,
 გაშავებული ქალი ნახშირით;
 ზარა მიაღბე შენი წარსული,

ჩემს შემდეგ, როგორ,
სად, ან რას შერები?
ვახსოვს გითხარი: შურისძიებით
ზარა დავლიეთ სისხლი მეფური,
მაგრამ სადღაა მკერდზე ბიები
ვნებით და სისხლით დამწიფებული.

ამბობს: არაა ვასაკვირველი,
რომ აზრებს ზღუდავს კიდევ წარსული,
მაინც ქართლიდან მე ვარ პირველი
დღეს მემანქანედ, ქალი გასული.
ჩამომრჩენ ბევრნი თუ მაგინებენ,
ცხოვრების კვანძი, თუ მაქვს ნახული,
დროს „ყაჩაღობაც“ იყო ვინებე,
ქალების საზღვარს გადალაზული.

დღესაც დალაღზე ფიქრებს უნდება,
ქმრის მონობაში ანატორალი,
გაავდებს, ქუჩას დაუბრუნდება,
იმეძავეებს და ხდება ტიალი.
თუმც მკერდს, ძუძუებს დასვრის მაზუთი,
აცდეს ცხოვრების შხამი და გესლი, —
მითხარი მაინც რაღას დაუშლის

ქალს, გაქანება მემანქანესი!
მზე როცა არის ძირს დაშვებული,
დღე მოოქროვილ სახეს ღებულობს
და მემანქანე გაშავებული
მიაპობს ველებს,
ატალღებულებს.

შორეულ ნიეთებს შემოგისევენ,
როცა ტრიალებს სივრცე გარშემო;
და მემანქანე გარბის ისევე
მინდორ-ველებს ოკიანეში...

მე კი ვაგონებ: „ახლაც მღერიან:
„შუალამეში სროლა გაჩაღდა,
ეს ალბად ზარას მაუზერია, —
რომ დადიოდა ტყეში ყაჩაღად“...
ზარა გრიგალებს თუმცა გაუძელი,
გახსოვს დროშები აგქონდა ცამდი...
მაგრამ სადა გაქვს დღეს მაუზერი
სისხლიან წლებში გამონაცადი,

ის მეუბნება: ახალი წება,
თუმცა შემდეგ
მრავლად მოგვეშველება, —



მაინც შეტევას პირველ დავიწყებთ
 ჩვენ, განწირული ქერქვეშელები,
 მე მიხარია: ჩვენი წარსული
 და მეგობრობა სისხლის ზოლია;
 ქერქვეშელებთან ერთად გავსულვართ,
 ორივეს ერთად, რომ გვიბრძოლია.

1927

ყურს ესმის როგორ სკდება მყინვარი,
 ცას აკრიალებს ცივი ბორია,
 და ვარსკვლავები დაბუდებულან
 ირმის რქებიან ციცაბოებზე.

მთების დაბლა კი, ღელე ძირულა,
 სვანის უბრალო წისქვილს აბრუნებს, —
 იქვე ჩამოვდა ლოდზე, მკვირცხალი
 ტანად მალალი ერთი აბრაგი.

ახლა ისვენებს მისი მუხლები,
 როცა გულდასმით სწმენდავს იარაღს,
 სვანეთის მთები თოვლით მოხრილი
 „სახელგანთქმულად შემოიარა“.

მზე-პირსახე და შემოზამთრული,
 ისიც ეს იყო კლდეს გადავიდა,
 დგას მერცხელა ღამე და მთეარე
 ამოსულია მყინვარებიდან.



ლოდზე დაეცა შუქი თოვლიდან,
 ზეზე წამოდგა მაშინ აბრაგი,
 ერთი მალლობი, რო გადმოვიდა,
 ლამის სათევად ბილიკს გაუდგა.
 აქ მერეკელას ნათელია და
 სივრცე კრიალებს სიანკარეთი;
 აბრაგი მღუმარ წისქვილს შიადგა
 და დაკეტილი დახვდა კარები.
 გარედან კაკუნს აყვა მოხუცი,
 კერაზე მიმჭრალ ცეცხლს შეუბერა:
 ეი, ვინ ხარ! თუ არ მეცხვარე,
 ისევ მალვიძებ ნაშუალამევს.
 ხომ სძინავს წისქვილს,
 გადმოდენილი, მხოლოდ ლოდებზე
 წყალი გადარბის...
 ისმის ბრძანებით:
 „ნუ მალოდინებ,
 მე ვარ მოხუცო არტემ აბრაგი“.
 მოხუცმა იგრძნო მკაცრი სტუმარი,
 შეიპატიჟა მაინც გულცივათ,
 შეეჩვიენ და თან საუბარი
 ერთმანეთს შორის ცივათ გააბეს: —
 კაბუკო არტემ, შენი სახელი

ხევიდან, ხევში გადადიოდა,
სადაურ სისხლით ხარ განახელი?
სად ვისი დედას ცრემლი აღინე?
— იცი მოხუცო, როგორ ტკიბლია
ცხოვრება კოშკში ლამაზ ქალთანა...
მე კი მყინვარი შემომივლია
და სიჭაბუკეს ასე ვათავებ.
მიყვარს, უყვარვარ მე მგ გოგოსაც,
მაგრამ ცხოვრება მასთან არ მიღირს,
მოუკალ კაცი შარშან გაღმელებს
და ვაჟკაცურად სისხლი ავიღე...
ამასობაში უცებ კარებთან
გამოჩნდა კაცი, ვილაც მოვიდა;
აბრაგმა ენა სწრაფ ჩაიკეტა
და მოემზადა მის მოსასპობად.
შემოდგა ფეხი ახალ მოსულმა
და თავის დაცვაც ვერ მოიაზრა...
ბრძანა აბრაგმა მიზან-მოსწრებით:
ნულარ იზრუნებთ გამარჯვებისთვის.
შებოჭილია ხომ ხედავ გზები,
შენი ვაჟობა აქ რა რიგია,
ძირს იარაღი! ხელები ზევით,
თორემ მკერდს სისხლი გადმოგდინდება.

— მე მტრობისათვის აქ არ მოვსულვარ,
არტემ ერთი ვარ, ნუ აღელდები
თუ შეგობრობის გახსოვს ამაგი
ნუ დგახარ ჩემს წინ, როგორც აბრაგი.
ანბანი ერთად ხომ გავიარეთ,
როს ქუთაისში... ორნი შევედით,
ახლა ხომ ხედავ, ვხვდებით ამგვართ:
ვით აბრაგი და კომკავშირელი*.
აბრაგი მიხვდა... მტრობა არ იყო,
სხვა საქმეზეა ეს ამხანაგი,
ფიქრობს: მხეცურად როგორ გარიყოს,
თუმც არ აბრაგობს იგი ამხანად.
იგი არიგებს, შენ ილუპები,
ველარ ჩაიკრავ გულში მაგ გოგოს,
საცაა ბოლოს, რომ დაგიპყრობენ,
სისხლის ამღები თვალნათს მოვისპობს.
წამო ქალაქში, დაგმე ევ საქმე.
მე ვიცი შენთვის გზები აშკარა,
ვაეკაცურ გულით წიგნს დაეწაფე,
იქნები ძმაო შენ მუშფაკელი.
აბრაგის გული თანდათან მოლბა,

* სოკრატ ჰეაღუა.



რათა მუშდჳაკი, როცა გაიგო: —

კარგია სწავლა, მაგრამ ბოლომდი
ძმად ხომ აბრავს შაინც გასრესენ.

— არტემ მანამდის ერთი საქმეა,
მოიკალ ამით ძველი ბუნება,
მტერხ წამოვა მალე აქეთკენ
მრავალთ სიცოცხლის დასაბნელებლად.

დაუხვდეთ აქა, ხომ კლდეებია,
ორი მრავალსაც წინ გადუღდება,
თუ ვერ დაგვითმეს, დააკვდებიან,
გზიდან ცოცხალნი ველარ გადავლენ...

— „წამოვალ!“

მზათ ვარ, — “ აბრავმა ასე
იგრძნო სიამით ეს გარდატეხა —

„მოხერხებულად დაუხვდეთ გზაზე
და ჩვენი რისხვა თავს დაატყდებათ.

წავიდენ, გზაზე, ელიან როდის,
ჯალათთა ხროვა გადმოვა აქეთ,
დგას ქვებთან მხოლოდ ნაბადი ორი —
სადაც თამბაქოს ცეცხლებს აქრობენ.

სევანურ ქუდებით, მოკლე ჩოხებით
აი შოდიან, მოყავთ ისინი,

სამფეროვანი შეამბოხენი
ხელეგ შებორკილთ მოასვენებენ.

ყურს ესმის ისევ სკდება მყინვარი,
ცას აკრიალებს ცივი ბორია,
და ვარსკვლავები დაბუდებულან
ირმის რქებიან ციცაბოებზე.
არის ბილიკი და ასპარეზი,
იქით ხრამი და აქეთ კედელი...
გადმოვა სისხლი და ნაპრალებზე
ყინვის დალალებს გაეკიდება...
მაგრამ როდესაც ცეცხლი ერთბაშად
წითლებზე უნდა დანთებულოყო,
„აბრაგი“ კლდიდან სწრაფლ გადმოეშვა
და დაიყვირა ისე მთებურად,
გაიხმაურა ყრუ ხეობამაც,
ჯალათები კი შიშმა დაბურა,
და ისევ ხევმა გაიმეორა
ხევიდან-ხევში, ხევის ზარული.
ჯალათებს გული ისე ერევათ,
სიკვდილი ბურავს
ტვინს დამბლასავით,
„აბრაგს“ მოსძახის, კომკავშირელი:

მორჩა, სიკვდილი ჩვენ დაგასწარით.
ვინც მოისურვა ისევ იბრუნოს,
მიწის მეფობა... სხვა ამგვარები —
მათ გამოგვზავნათ, ხელებ ბორკილნი,
როს დაგეზოცათ ამხანაგები...
გახსნეს ჯაჭვები და ბორკილები
თვით ჯალათებმა ხევში ჩაყარეს...
და სახეები ნასიკვდილევი
მათ დიდხანს შერჩათ გაყვითლებული.
გამთენიისას მთების მაყარი
თავისუფლებას, რო იბრუნებდა —
მზის სადღეგრძელოს სვამდა ამაყად
ხელ შეუხები მათი ბუნება.
გამთენიისას როცა კიოდა
ვარსკვლავებამდი ტყვია ნაგანის,
ხევიდან ხევში გადადიოდა
ამბავი არტემ ნააბრაგალის.
დღეები გასულ დღეებს არ გვანან.
გუშინ დღეობდა სისხლის აღება...
ჩამოდიოდა ნააბრაგალი
და სხვა მერმისის კარებს აღებდა
ახსოვს მღეროდენ: რო გადმომდგარან,
მზის ციცაბოზე — აბრაგებია, —



ქალო იმაღე! შენი ბინა
კოშკი ძველის-ძველ ანაგებია.
ახლა მღერიან: ქალო გამოდი,
დრო ჯერ ასეთი შთებს არ რეგებია,
გინდა დღისით და გინდ საღამოთი,
მზის ციტაბოზე ვადმოდგებია.

1927

ჩვეჯომის თავეჯლომარი იყო შოფერი

— დამსწრეთა შორის რომელი იქნებით
იმ რაიონიდან, სადაც შოფერმა
თვით უხელმძღვანელა გასაბჭოებას?

— მე თვითონ გახლავართ სამეგრელოში,
ქერქვეშელების იმ რაზმელთაგანი,
რომლის მეთაური იყო შოფერი.

ვინ იყო შოფერი?

— ობოლი, სოფლელი...

სოფელში ამბობენ,
გაექცა მსახური აქაურ მღვდელს;
დასტოვა ქობი,
დასტოვა მიწა და —
წავიდა
მიღი ხმა სრულებით მიწყნარდა.

ახლობელ კომლებმა ქოხსა და მიწაზე
იღავეს, იჩხუბეს, ძლივს გაინაწილეს.
ხან და ხან, კვირა დღით

ნასახლკარ მინდორის

გადამწვარ ყორეზე.

მიმოგზაურნი ხმებს ჩამოაგდებენ:

უწინ აქ სახლობდა, ვილაც ლატაკი,

ჩაუქრა კერა და რა გულდამწველია,

მეორე... მესამე... მეოთხე... მეხუთე...

წაეიდენ წლები და —

არ არის ეს კაცი.

წავიდა, და ობოლს

ვინ გაედევნება, —

ასე ასკენიდენ ამ კაცის შესახებ...

ახლა კი, აქედან წასული,

ოქტომბრის ცეცხლით აქ ჩამოვიდა...

თვითონ ეს ლექსი მიტომ დავსწერე,

რადგან ასეთი სანიმუშოა:

ჩვენს რაიონში ეს ამხანაგი

იყო ბელადი გასაბჭოების,

ჩვენს რაიონში ეს ამხანაგი

იყო რევკომის თავჯდომარე.

ვინლა დაგიცავს, ვინლა მოგივლის,
როცა მძარცველნი თვით განაგებენ:

ეს რაიონი იყო ცნობილი
ქურდ-ბაცაცებით და აბრაგებით.
დღე გაიზარდა, ავეგულებისთვის
მოსაწყენი და ჩვეულებრივი,
დაღამებამდი გამოქვაბულში
სძინავთ აბრაგებს ღამურებივით.

სოფელი ამბობდა: მოსე ცანა
ქურდობს, აბრაგობს თრმოც წელიწადს,
ახლა ძაღლებიც ამ „კაცს“ იცნობენ
ცხენის წყალიდან, ხობის წყალამდი;
სოფელი ამბობდა: რა გაჭირდა,
გაჭიანურდა ქურდის სიცოცხლე!
გასაბჭოების მეორე დღეს,
გამუდმებით წვიმდა და წვიმდა;
ჩვენს რაიონში იცის ტალახი,
მაინც ბაზარი დაბა-ქალაქის
მდინარის ახლოს, ნარიყალაზე
ჩამოსულ ხალხით გავსებულებო.
ცნობილი ქურდი და შეღამური,
ვინაც აიკლო მთელი ოდიში.

გამოქვაბულში დღეს დაეჭირათ,
და შუა ბაზრით ჩამოატარეს.



ეს მოხდა დაკერათ,
პირველ წესრიგში,
გასაბჭოების მეორე დღეს.
ცოტა ხნის შემდეგ თოფმა იქეჭა
და გაუთავდა ამ კაცს სიცოცხლე.

ეგდო ეს ქურდი ნაბჯით ტალახში,
იქვე შიშველი ხე დაყურებდა,
მისი ვიწრო თავს, ბაშლაყ მოგლეჯილს,
მის ვიწრო თვალებს,
წაბლისფერ ულვაშს —
ლორმა დაუწყო გატალახება.
აქ მოსულეებმა თანვე წაიღეს
სიამოვნებით სახლში ამბავი —
სოფლიდან, სოფლად,
ქოხიდან, ქოხში —
მთელი თვეობით ამას ამბობდენ: —
რევეკომმა მოკლა სამეგრელოში
ცნობილი ქურდი და მელამური.
ამ ქურდმა იცოდა (მამაჩემს უთქვამს)



ყოველი ბილაკი, ყოველი გზა,
 ამ ქურდმა იცოდა, ყოველი ღელე.
 ყოველი მდინარე, ყოველი შთა —
 ამ ქურდმა იცოდა სხვა და სხვა ხერხები,
 ქურდობის ხერხების იყო გამომგონი,
 მოყავდა ხარები ენგურ გაღმიდან,
 მიყავდა საბაზროდ ცხენის წყლის გადაღმა.

სოფელში ვინმე ავად თუ განდება,
 ქოხში მნახველნი ბევრნი იმყოფებიან,
 გუზგუზებს ცეცხლი და, ერთი ამბავს მოყვება,
 ამ კაცის შესახებ, როგორც ეპოპეიას...

ის დაასრულებს:
 ეშველა და მოკლეს,
 სოფლიდან ალაგმეს,
 გზაშივე დამარხეს. —
 ეს მოხდა სწორედ, გასაბჭოების მეორე დღეს,
 როცა რევკომის თავჯდომარე იყო შოფერი.

ეხლა?
 — სოფელში არც რევკომია, აღარც შოფერი.

გუშინ ქუჩაზე, აღლუმის დროს,
 შოფერს დაყავდა ავტომობილით

საბავშვო ბაღის გულჩიორები.
გარბის ისევე ავტომობილი,
შიგ მზეებზევით სხედან ბავშვები,
გარბის — სიცილით ჰაწია დროშებს,
გულწითელები ათამაშებენ.

ეპატიებათ თუ არ იცოან
ბავშვებმა საქმე ჩვენი შოფერის...
მე მოგახსენეთ — ეს ბოლშევიკი
და ჭერქვეშელი, ჩვენს რაიონში,
იყო ბელადი გასაბჭოების.

მაშინ, როდესაც, ცხრაას-ოცდაერთს
მტერს ფუძეები გამოვაცალეთ —
მზე იყო დახრამდის,
დღე იყო უნისლო,
მე მაგონდება პირველი სხდომა,
თავისუფალი პირველი სიტყვა —
ადგა, დაიწყო ჯმუხა შოფერმა:
ბოლშევიკური ჭერქვეშელების
ლეგალურ კრებას გასხნილად ვაცხადებ!...

გაგიგონია ქედი ურალის? —
გამოვიარე ცეცხლით, ნალარით,
მოვედი შენთან გულით მხურვალე —
მზე მოგიტანე ნაყაჩაღარი.
შენ მომიყვები მქედელ მიქაევამ
როგორ შებოჭა მტერის ქვა-გული,
მეტყვი: ვიყავი, ახლაც იქა ვარ
მე, ლეგენდების გამოქვაბული...
იდგა ეზოში მრავალრტოება
დიდი მუხა და ყეფდა გუგული,
იყო სოფელი, გარემოება
ცეცხლის ჰაერით გადაბუგული...

სადაც მდინარე გიჟად ვარდება
და ცისარტყელას მალლა აისვრის, —
ნეტავი ვის არ შეუყვარდება
მოოქროვილი დილა — აისი.



მთები ყვარდენ იქ საუცხოვოდ.
 შენ მეწისქვილეთ ხარ არჩეული,
 გიყვარს აბაშა და ოფუცხოვო —
 შენი ფერადი ტყის ფარჩეული.
 მგელის ბილიკზე დააგებ მახეს,
 როცა დასცვივა ხეებს ფოთლები,
 ანკესით იქერ ახლაც კალმახებს
 დარბაისელი გულის მოთმენით.
 გუზგუზებს ცეცხლი ბებერ კერაზე,
 ფქვეს წისქვილი და
 სწრაფად ტრიალებს;
 მიყვები ამბავს ბედისწერაზე —
 ქაჯი კაცს როგორ გაატრიალებს...
 მთელი სოფელი გიცნობს გერიეს,
 რომ ლეგენდები ველარ გელევა,
 მგელი გორაზე მოიგერიე —
 რომ მოგეგება ღვინით გაღეშოლს.
 დილით, როდესაც ოქროს ბავშვივით,
 მზეს ხეობებში გაეცინება —
 ხარ მონადირე, მძებრებს აუშვებ
 და შენ ნადირებს ძილს ეცილები.
 მწვერებით კურდღელს გაკიდებიხარ,
 შენ გიყვარს მისი ხორცი ჟგეში,

ღრეებში შავი ჩოხა დაგება
და იკარგები მთის სიმუქეში.
ამბობ: „წისკვილი მე, რომ ვითავე,
ორმოცი წელი გაქრა მას შემდეგ,
თვითონ მოვნახე მისი სათავე. —
და ვსთქვი, წისკვილი უნდა აშენდეს!
არხი გავთხარეთ ჩვენს კლდეებს შორის, —
დაბლა მდინარე მირბის ღმუილით
და ჩანჩქერს კლდეზე თვალები ორი
ზურგში ჩაუდგით, როგორც ღუმელი...
დარჩეს წისკვილი ყავრით ნახური,
მოუტანია ბევრი კარგი რამ,
მე, მეწისკვილე მისი მსახური,
ვარ ცოცხალი და გამოსადეგი“.
შენ საუკუნე, ხარ ერთეული,
სიკვდილი ასე გიახლოვდება,
გშვენის წვერები სპეტაკ თოვლივით
და ღამე შიშით შენთან მოკვდება.
შენ — სისხლი ისე გაქვს მოწამლული,
არსად ყოფილი იდუმალებით,
შენ ლეგენდებით გიფეთქავს გული
და ღამეს ცეცხლთან დაემალე.
შენ მთვარიანი ღამეც გატრეოლებს,

არსად ყოფილი სახეებს როშავ,
შენ ნატრობ, ღამე მზეში დაიწვას;
შენ ნატრობ, ღამე დღეში მოექცეს.

იყო უწინ ცხენის ქურდი,
ახლა იგი კლდესა ტეხავს,
ამბობს: „შრომას დაუბრუნდი
გაჩენილმა ქვეყნად გლებმა“.
ის შრომაში სხვა მზეს ელის,
ახლა სხვა მზის ყაჩაღია,
იგი გუშინ აბრაგობდა,
დღეს მუშაობს გულმკერდ ღია.


აქ სადგური აშენდება,
ქრება მთვარე უმადურათ.
ღამეს დასწევას მზე ღამეში,
ანთებული ელნათურად.
ის ილვიძებს იმედივით,
მიეცემა სოფელს ხვავი,
ზეცა ნამით იორთქლება —
ფეთქს მანქანა, სახერხავის...
ადრე დილით გერიესთან
გლებს საფქვავე მიაქვს ვირით...

და მამალზე უფრო დროით
დაიყვირებს აქ საყვირი.

გააქვს ღმუილი შეშლილ ლაღუმებს,
გვაღვაა, დაშრა, გაშიშვლდა ლელე,
ღამე დაისთან ფიქრებს აღამებს
და შიშით აღმა მირბის კურდღელი.
გააქვს გუგუნის ისე ლაღუმებს,
და ემატება აგურს აგური,
ღამეში ეძებს ღამეს ღამურა,
ჰა, დამთავრდება მალე სადგური.

რჩება კლდეები პირდაღებული,
ხავსი დაფარავს მშიერ კალაპოტს,
მდინარეც, ძალად განაღდებულო,
შუქს, განათებას სოფელს დაათოვ.

გააქვს გუგუნის ისე ლაღუმებს,
ძლივს ქვების სეტყვა მოვიგერიე,
და მეწისქვილე მაინც ღონდება —
ჩუმად ქვითინებს გულში გერიე:
ჩემო წისქვილო, კვდება ზღაპარი,
ველარ იხილავ ქინკების არულს:
მე ლეგენდების წიგნი დავხურე —
ხავსი დააღპობს ყაერის საბურავს.



მე წავიკითხე გუშინ აფიშა,
რომ გამარჯვებით გათავდა ომი,
მოკედა დღის და მზის ღამით გათიშვა —
სადგურის, ვაწერ ხელს ადგილკოში.
გაინაეარდებს ეკრანზე ასე:
ჩვენი ქალაქი ოფუცხოვოში!
მღერი სიხარულს და გაფასებენ,
მღერი სიხარულს შენ საუცხოვოთ...
ხომ გაიგონე, ქედი ურალის
გამოვიარე, ცეცხლით, ნალარით,
მოვედი შენთან გულით მხურვალე —
მზე მოგიტანე ნაყაჩაღარი.

1927

პავლე გორგასლან

ამ ფელეტონში მოხსენებულ კაცის სახელი,
მგონი გაქნებათ თქვენ ყურმოკრული,
ან იქნებოდით მისი მნახველი, —
იყო მოლექსე და მონადირე,
მაგრამ მის მიერ ტყვიით მოკლული
ჯერ არ ყოფილა ერთი ნადირიც.
თავბლუ აზნაურს ცისფერი ყანწით,
მისი ქვეყანა არ ყვარებია ღვინოზე უფრო,
ხიბლავდა ძლიერ
გაამაყებულს „ქართული“ მწვადით,
ყარაჩოღლებში სუფრა გაშლილი.
სწვავდა ოცნება გამხდარიყო მგოსანი სუფრის,
კახური ღვინის და ვინმე
მიკიტან ჩოფურაშვილის.
ერთხელ, როდესაც მათზე ღრუბლები
მეცხვარის მიერ გადაირეკა, —

სამიკიტნოში პავლე გორგასლანს
ციდან მოესმა სტვენა და რეკა...

ამხელაჲ კაცს, ტანად ახოვანს
ცხარე ცრემლები დაუდენია,
ორბელიანის არღანის ხმაზე

უმაღ გამხდარა თურმე გენიად.

უთქვამს შეარღნე ტიტეს:

იციო, ვინ არის პავლე გორგასლან?

„ქართველობაში არ ყავს ბადალი,

დიდი კაცია, ტანად მაღალი,

ორას თუმნად ღირს თუ მან ინება,

დღისით რუსთველის გამზირზე,

ერთხელ ქართულად გასეირნება...

ერთხელ გორგასლან ხელცარიელი

ნადირობიდან დაბრუნდა დაღლილი,

გულს შემოაწვა სევდა ძლიერი:

ავად გაუხდა ძალი...

მოუკვდა, უმაღ ჩაიცვა თალხი,

უბედურება აცნობა მეგობარ-პოეტებს:

„ძმებო, დამიბნელდა მზე და ლხინი,

ძალი მომიკვდა ტვინის ანთებით

და გასვენება მინდა ბალდახინით...

იყო სამარე ბაღში გათხრილი,

და გასვენებულ ძაღლის წინაშე
თვით გორგოსლანი თავით დახრილი,
სამგლოვიარო სიტყვას იტყოდა:

„უნდა ატირდეს მწერალი
სენტიმენტალურ ცრემლის მოდებით,
დგას მწუხარების მწვერვალი —
აშენებული სევდის ლოდებით...
საღმე სასტიკად ქუხდა და წვიმდა,
როცა კვდებოდა ჩიბის წვალებით,
ძაღლს იისფერი წმინდათა-წმინდა
ქონდა „იესოს თვალები“...“

ამ ტრალიკული ამბავის შემდეგ....
იყო ყარაჩოდელთ სუფრა გადამშლილი,
სად გორგასლანის მეგობარ-პოეტებს
ქონდათ განსვენებულ ძაღლზე პანაშვიდი.
უცებ მოფრინდა პეპელა ქრელი
და გასვენებულ ძაღლმა იყეფა,
პავლემ კალმისტარს მოკიდა ხელი
და შთაგონების ალით იწვება...
ტვინში აღმოჩნდა სიტყვის მადანი,
სტრიქონები და რითმები მისი,
და გორგასლანის ლექსის საგანი:
იყო... არ არის ძაღლი ჩიბისი...

იგრძნოს წუხილი ქართველმა ერმა,
მტკვარმა, რიონმა, ბარმა და კლდემა,
მოკვდა ჩიბისი... და შემოვიდა
პოეზიაში ახალი თემა...

პავლე გორგასლან!

ბავშმაც კი იცის საქართველოში,
სუფრის მელექსე.

კაცს ექსპრომტები რომ ეხერხება,
თვალებს დაითხრის ეს ტოლუმბაში,
თუ მზეს ყანწებით ველარ შეხვდება.

კაცი ყოველმხრივ ელასტიური,
იყო და უთქვამს სიტყვა „ერთგული“
არჩევნების წინ ლექსი შეუთხზავს —
მის ასარჩევათ ამხედრებული.

წარმოიდგინეთ პავლე გორგასლან,
მისი წარსულით მიუღებელი.

წითლად ჩვენს აწმყოს შემოეგარსა.

მუცელ, მაძლარი და კმაყოფილი.

მიქრის... გონია „პოეტ“ გორგასლანს —

გაგრიალეებულს ავტომობილით, —

უკვე ბრძოლებმა გადიგრიალა.

წითლად უღებავს ყვითელი რუქა

და მით უმეტეს საჯაროთ უთქვამს:

„შრომა სარდლობს და შრომა განაგებს,
მეც შრომის მზე და ცეცხლი მედება,
ებრძვის თამამად მტერის ბანაკებს
ჩემი ახალი შემოქმედება“.

მიტომ ძნელია სადმე ხელთ იგდო,
სიტყვით წითელი, გულით ფარული,
წითლად მოსილი ადამიანი,
წითლებში მტრულად შემოპარული.

გულწრფელად უთქვამს:

„ჩვენს წინ სუფრაა ლალად გაშლილი
და „რია-რიით სკდება არღანი“.

გვივლის ქართულად ჩოფურაშვილი —
მესაიდუმლე ჩვენი ბალღაშის.

აქ ძველებს შორის

ვთქვათ ძველებურად

ლოთი-მოთი და ლექსები:

მკლავში ერეკლეს ძვლები გვაქვს,

ტანში ერეკლეს ფესვები“...

წარმოიდგინეთ ეს კაცი თურმე

ხედება ნავთლულში

ჩამოსულ სტუმრებს,

წარმომადგენლობს მწერალთ სახელით

არა მწერალი და გამბედავი,



კაცი მღალა, ტანად ზორბა და
ასე... მღაბიოდ შესაბედავი.

ყმედობს, თაეხედობს, სმაში გართული,
ტოლუმბაშური ენამკეცრობით,
გამომხატველი არა ქართულის, —
ჩიბისის მწერლობის...

1980

ახალი მოსახლეობა *



— ეინ ხართ მომხრენი ამხანაგებო,
დავშალოთ ძველი ღრე და ხეობა,
ჯერ არ ყოფილი და სასარგებლო
შეეკმნათ ახალი მოსახლეობა.
მართალი არის ვწუხვართ ეგ ზომად,
ერთ ხელალებით გადავიტანოთ,
დაეტოვოთ ჩვენი ძველი უზო და
ჩვენთან შეზრდილი ძველი მიდამო.
ეინ ხართ მომხრენი, ახალ შენობას
ღრმად ჩაწვდომა და უნდა გაგება,
მე კომფრაქციის სახელით შემომაქვს
ეს სასარგებლო წინადადება.
ასწიეთ ხელი! ასე ეის უნდა?
მოუწოდებდა სოფლის ოშარი,
სოფელი სდუმდა.

.

* დაუმთავრებელი პოემა.

მაგრამ რათ სდუმდა აგრე სოფელი,
ფიქრებში მძიმე კითხვის ნიშანით?
გლებმა დაშალოს მისი ცხოვრება
ეზო მისებურ შემოღობილი, —
ეს აღარ არის ისე ადვილი
გზატყეცილის ან საქმე ბოგირის.
აღმშენებლობის გეგმა გაშალო
უნდა დაშალო მთელი ხეობა.

2

არის მიდამო უღელტეხილი,
მალლობებს შორის არის ხეობა.
ამ ხეობაში შემჭიდროებით
ცხოვრობს გლებური მოსახლეობა.
თუმც მინა შავი და ნოყიერი
კარგი მოსავლით არის ქებული,
მაინც მცხოვრებთა უმრავლესობა
ხშირად ყოფილა დამშვიებული.
არ ყოფნით მინა სახნავ-სათესად
მცირედი ყანით ვინ რას გახდება,
შორს ველი არის, მაგრამ ვერ იქნა
ვერ გადასწყვიტეს გადასახლება.
ხარობს სიმინდი, ხარობს ვენახი,

სივიწროვე კი, მაინც დიდია,
როცა მოსავალს შემოიკრეფენ,
ფულის საშოვნად სხვანაგა მიდიან.
მეტად უგეგმოდ მოსახლეობენ,
ასე ძველთაგან შეყვარებით,
ლამით ერთმანეთს. სამეზობლოში,
ბოროტ განზრახვით ეპარებიან.
სახლი სახლის წინ არის დადგმული,
რომ დაეკარგოს მზე და იერი,
მეზობელთ შორის გამუდმებულად,
შური და მტრობა არის ძლიერი.

3

კარჩაკეტილად სვამენ, მღერიან,
ყოველი ეზო, ეზოს მტერია,
სახლი გაურბის სახლს,
და მტრულად უყეფს
მეზობლის ძაღლი, მეზობლის ძაღლს.

4

ცეცხლი ლაპლაპებს კერაზე,
ქობში მზადდება ვაზშამი,
ფეხებ შიშველი ბავშვები
სხედან კერიის გარშემო.



ჩიბუხს ეწევა ბაბუბა,
შორს თვალი უჭრის, ყრუ არი,
ზის სიღო, დაღვრემილია,
ოჯახის ბატონ-პატრონი.
დიასახლისი კუთხეში
თავისთვის საქმეს ეწევა,
ცეცხლი ლაპლაპებს კერაზე
და კეცზე მჭადი იწეება.
სადაც მზადდება ვახშამი,
იქვე იძინებს ჯალაბი,
ტახტზე უყრიათ ძონძებათ
მათ გამჭვარტლული საბანი.
კედელზე არის მიკრული
ნახევი ძველი ნოხისა,
გვერდით პირუტყვთა ბინაა
ერთი ხარის და ძროხისა.
დაბლა კერაა ლადარი,
სხვენში დაფრინავს ქათამი
და ამ ქოხშია რაც არი
ლარიბ გლეხკაცის დოვლათი.
— კერაზე ცეცხლი მინთია,
ვარსებობ მტერის ჯინაზე,
მეზობელს გაუხარდება,

თუ ძალლი შესწყვეტს ყეფასა...

გარეთ ხან ცაა კრიალა

და გასარკული ჰაერი,

გარეთ ძალლი ყეფს დილაძდე

მხეცი და კაცის მჭამელი.

— რა კარგი არის გარშემო

ქვის გლავანი გვეფაროს,

იყეფე, ძალლო იყეფე,

მტერი არ შემოგეპაროს.

ნ

სახლი მიწური, ისლით ნახური,

კედლები შავი და შენგრეული,

გლების ერთგული თავშესაფარი

საუკუნის წინ არის ნაგები.

მაშინ როდესაც შალაშინი და

ხერხი არ იყო გავრცელებული

ნაჯახით მუხის ტყესა ჩეხადენ,

მუხებს აპობდენ ჭობის ფიცრებად,

ერთგული მამა ამ ჭობის გამო

შორეულ ამბებს მოუყვებოდა,

ფეხშიშველ ბავშვებს ცეცხლის გარშემო

ბელურებივით შემოხვეულებს.

სიღო ფიქრობდა თავჩალუნული,
 შვილს ცეცხლის პირზე წიგნი ეჭირა,
 და გულმოდგინედ ხვალის გაკვეთილს
 იგი სწავლობდა ზეპირად.

სიღომ გასწყვიტა ფიქრი შუა გზაზე,
 უნდა წამკითხველს რამე გაუგოს,
 ის ზეპირობდა სხაპა სხუპითა
 და მას ორივე ყური დაუგდო.

— შვილო დაიწყე თავიდან
 მკაფიოთ თუ რა სწერია!

— ბობოლაზეა მაშინლო:

„მუდამ გახსოვდეს ლარიბო,
 ბობოლა შენი მტერია.

სოფელში თუ რამ კარგი ეწყობა,
 რომ სიღარიბეს ბოლო მოუღონ,
 ბობოლას უმაღ გული მოეწვის
 და მის დანგრევის აზრი მოუვა.

მუხლებს უხერხავს ვინმეს იმასთან
 თუ რამ კავშირი დაუჭერია —

მუდამ გახსოვდეს ლარიბო
 ბობოლა შენი მტერია.

ხშირად ღარიბი ბობოლას ანკეს
ვით წყალში თევზი დაუჭერია,
მუდამ გახსოვდეს ღარიბო
ბობოლა შენი მტერია...

— ჩვენს მეზობელზე თუ არი თქმული,
ის არის ნამდვილ ასეთი გულის,
ჰო შეილო შემდეგ თუ რა სწერია?

„ — ბობოლას უნდა იყონ ღარიბნი,
ღარიბთა ზურგზე მისი გზებია,
და შეგნებულად ჩვენი გლეხები
მის მოსასპობად ირაზმებიან.

ღარიბო გლეხო, თუ გინდა იყოს
შენი ცხოვრება კარგი მზიური, —
აყარე ზურგი და განამტკიცე
მეურნეობა კოლექტიური!

— ეგ რაღა არის?

— კოლექტიური მამილო.

— ეგ რაღას ნიშნავს?

— ერთად შრომას და კარგად ცხოვრებას.

— ეგ მოსპობაა ჩემის და შენის,

— კოლექტივი კი სპობს სიღარიბეს.

— სიღარიბეს? რომელი სჯობნის

კოლექტივი, თუ ჩემი ჭოხმახი?



არა, ბრიყვი ხარ ჩემო ბიჭუნავ,
და ნუ ზეპირობ ასეთ ბრიყვობას!
კალექტივისტად შენ ვინ მოგნათლა,
მეზობელს ჩემსა, გამდიდრებულსა,
შვილი უზრდია აგრონომათა, —
მეც ასე ვფიქრობ შენსა გაზრდასა —
აავსო ეზო და სასიმიინდე,
რომ შენც მასავით
ოჯახს შესძინო ოდა, სიმდიდრე.

7

ჩაქრა კერაზე ცეცხლი ლაღარი.
ქობში ბნელოდა,
ეძინა ჯალაბს,
სიდო გლებურად;
თავის შორეულ განთიადს ელოდა:
გაუმდიდრდება იმას ოჯახი,
ერთხელაც შაინც, მის სიკვდილამდე —
იყო სიზმარი
და ძაღლი ყეფდა გარეთ დილაამდე.

8

დილით წამოხტა ფხიზელი ბიჭი,
კუთხეში ნახა მჭადის ნატეხი,

წაისაუზმა, ვადიგდო ჩანთა, —
იმეორებდა გზაზე ვაკვეთილს...
„ლარიბო გლეხო, თუ გინდა იყოს
შენი ცხოვრება, კარგი, მზიური,
აყარე ხურგი, და განამტკიცე,
მეურნეობა კოლექტიური.

9

ამ ხეობაში გლუბაკაცი სიღო.
რომლის შესახებ ზემორე ვსწერდი,
წუხელ რომ ნახა ძილში სიმდიდრე
ცხოვრობს აგრანომ ბობოლას გვერდით.
აგრანომ ბობოლას ეზო აქვს ფართო,
მას „კულტურული“ იერი ატყვია,
ეზოში დადგმულ მაღალ ოდასა
გარს გალაყანი არტყია.
ეზოში ვრცელი ვენახებია,
ვენახებს მოსდევს ხეხილთა ბაღი,
სოფელში მოსწონთ, სოფლად ხმებია,
აგრანომ გოგის ქკუა აქვს საღი.
მეურნეობის „კულტურას“ თესავს,
კეთილ მოწყობას ზიანს აყენებს,
გაიძვერულად სოფელში დღესაც.

იგი ავრცელებს თავის ნამყენებს.
მას საზომი აქვს თავისებური,
ის საკუთრების იდეას იცავს,
უშრავლესობა მას არ ემღერვის —
იგი ხეობის მგეგმელად იქცა.
გლებები მასთან თხოვნით მოსულან,
რომ შეესწავლათ ვენახის მოვლა
და ფილოქსერის სენის მოსპობა
და რით ეოშონ ავდარს და გოლვას,
გოგის გავლენა ამ ხეობაში
საკმაოდ არის განმტკიცებული,
ეხმარებოდნენ, ხეობის მცხოვრებთ
ოფლი უღვრიათ მისი მიწაზე.
მოსწონდათ მისი ეზო გაშლილი,
მოსწონდათ მისი ბაღი და ზვარი
და ბევრს უნდოდა მასსავეთ შვილი,
რომ აგრანომად გამოეზარდა.
ჩვენი ღარიბი გლებკაცი სიღო,
დილით აგრანომ გოგიას ესტუმრა,
გოგი სავახე ნერგებს უვლიდა
და სიღოს დახვდა ხელებ დასერილი.
შეწყვიტა შრომა და მეზობელი,
დიდის ზრდილობით იქვე ჩრდილოში



სამუსაიფოდ მიიპატიეა:

— როგორ ბრძანდები ძმობილო სიღო!

— მადლობელი ვარ,

ყველას ჩამოერჩი, ნაქერ მიწაზე

მინდა ნამყენი ვაზი ჩავყარო,

ნერგები არ მაქვს, მომყიდე გოგი,

სამუსაიფოდ მიიპატიეა.

სავაზე მიწაც შენ გამიპლანე!

— რამდენი ძირი გინდა ჩაყარო?

— ოთხასი.

ვიძლევი, მზათ ვარ მომეცი ხელი,

დაგეხმარები, თვითონ ჩაგიყრი,

ვაზის სანერგეს აბაზად ვყიდი,

ოთხასი ძირი! უფასოდ ვიზამ,

ოთხას აბაზებს მე აღარ ვჩივი

და შენც იოლად მიახწევ მიზანს.

ჩემი მოსაზღვრე მეზობელი ხარ

და დავცხმაროთ ერთმანეთს უნდა,

თუ მამაჩემი გემტერებოდა,

სამაგიეროდ მე კარგი მსურდა...

სამივე მხრიდან ჩემი მიწითა

შენი ოჯახი შებოჭილია,

შენ ხელავე კარგად, ეს შენი ეზო



შემომიერთე, მე მოგცემ მიწას,
 შემოგიკავებ ჩემივე გარჯით,
 შენს ქოხს მე დაეშლი, მე გადავიტან,
 მე დაგიხურავ ჩემივე ხარჯით...
 — ეზო დაგიტმო?.. თაეი ჩაღუნა
 და უარის ნიშნად სიღო გაჩუმდა.
 ველარ შეთანხმდენ და გოგიმ მაინც
 ოცი სავაზე ნერგი აჩუქა.
 და მართლაც სიღოს ეზო და კარი
 კედლებს შუა იყო შემომწყვდეული.
 აქეთ პეტრე და იქით გაბრიელ,
 ორივე ბობოლა, ორივე წყეული..

10

მალლობზე მდგარი მაღალი ოდა
 სპილენძივითა იყო ელვარე,
 იმის პირდაპირ ამოდოდა
 და ჩაღოდა მზე შუქ მღელვარე,
 დღეს მეტად კარგი მზის დარი იყო,
 ქალი აივანს გადმომდგარიყო,
 და შინ აწყობდა მზეზე ვაფენილს
 საბნებს, ბალიშებს, ზეწრებს და ნოხებს.
 მზემ ღამე მთებზე ააფრიალა.

მიმოირაზმა ვარსკვლავთა წყება,
ზეცა ისევ იყო კრიალა,
ძაღლებმა ისევ ატეხეს ყეფა.

11

გოგის ცოტა რამ დარჩა სახნავი
შომართა ჩარხზე პირი სახნისის,
თანვე ვახშამის სამზადის შორჩა
მისი ერთგული დიასახლისი.
მხოლოდ ელოდენ ოჯახის უფროსს,
ჯერ გოგის მამა არ მოსულიყო,
უმისოდ ვერვინ გაშლიდა სუფრას,
ის უნდა სუფრის თავს დამჯდარიყო.
ლამემდი, ურმით მოქონდა ტყიდან
წიფნარის შეშა სხვის დახმარებით,
მოვიდა ეხლა და წელ დამტყდარი
ცის ქვეშ დააბა ბულა ხარები.

12

ოდის დარბაზი იყო შორთული
ამ ხეობაში საუკეთესოდ,
მაგიდის ირგვლივ სელის სკამები,
ხავერდოვანი ნოხი კედელზე,
ტახტს აბრეშუმის საბნები ეწყო

ნაქარგ ზეწარით გადაფარული,
და სურათები ეკიდა ზემოთ,
ამ ოჯახისთვის სასიყვარულო.
კედელზე ხატი, მასთან სურათი
განსვენებული იმპერატორის,
იქვე ვილგელმი თანვე სულთანი
და მეფეების სხვა პორტრეტები...
რევოლუციას მყინვარები და
მთაგრეხილებიც კი დაუხრია,
გვირგვინი გვირგვინს თან მიყვებოდა
და სამარეში რომ ჩაუყრია —
აქვე არიან ოდის, დარბაზის
კედლის ერთ რიგში გამწკრივებული.
გარეთ ებრძოდა კლასები კლასებს,
მეფეებს კლავდნენ, მას მოყვებოდა
წერ-კერენსკები, შემდეგ ლენინი —
ამ დარბაზში კი ძველი რჩებოდა
და განსვენებულ მომდევნო სურათს,
მხოლოდ სურათი ემატებოდა.

18

მოკლე ლამეა და დილამდისინ
მოულოდნელად დრო გადაივლის,

დაწვნენ და ისევ ჩვეულებრივად
ქონდათ მსჯელობა და მუსაიფი.
— ამ ხეობაში დაიწყო გოგომ, —
სანამ ვიქნები კაცი ცოცხალი
კომუნის ნასახს არ ვახეირებ.
ხომ დაინახე, როგორ გარიყა
ხალხმა ოშარის „კეთილ საქმენი“,
კეთილმოწყობა რომ მომხდარიყო
ჩვენთვის არ იყო ეს ხელსაყრელი.
დიდი სიფრთხილე არის საქირო
ფონზე ვერ გავალთ უხლა მეხურად
დათაფლულ ენით ვილაპარაკოთ
და გლებს მოვეპყრათ მოხერხებულად ...
მაგრამ მამიჯან იცი რა გითხრა,
მე ბოლშა გულში აღარ მეტევა,
შესაძლო არის დაგვასამაროს
ჩვენ კომუნისტურ ელემენტებმა.
გზა იგი გზა, რა გზა იქნება, —
გამოსავალი რამე გვაჩვენოს,
რომ არ შთაეინთქათ, ჩვენი ოჯახის
სახე ბოლომდის შევინარჩუნოთ.
ამაზე ვფიქრობ, გამოსავალი,
გზა ჯერ არსაით აღარ მეგულვის,

ამ ხეობაში ჩემი გავლენა
თუმც ძლიერ არი განმტკიცებული,
მაგრამ ეგ საქმეს ხომ ვერ უშველის,
სხვაგან თუ ასე ვკვდებით, ვიღევით,
მეურნეობის ძველებურ ფორმას
მეურნეობის ახალ კბილებით,
ცის ქვეშ ყოველგან თუ ასე ღრღნიან.
— გამაგებინე რას ჩივი შვილო!
— გზას ვეძებ მამა გზას...
დედაკაცებს კი, ამ მუსაიფში
კარგა ხანია ჩასძინებოდათ,
მამა და შვილმაც ძილს მისცეს თავი
და ჩვეულებრივ ესიზმრებოდათ.

14

აქამდე მაღალ ოდის ფანჯრიდან
ვარსკვლავთა წყება სჩანდა მკაფიოთ,
მაგრამ ცა ლურჯათ გამომზირალი
მთვარისგან იქნა გამკრთალებული.
ვარსკვლავთ ციმციმი შუქმა დანისლა,
თეთრი კენჭებით ცა წაყრილიყო
და აღვიძებდა შუალამისას
მოსახლეობას, მამალთ ყივილი.

შემდეგ სიჩუმე იღვა მთებური,
იყო ხეობა ისე მუქი და
იყო დარბაზი განათებული
ფანჯრით შემოჭრილ მთვარის შუქითა.

15

პეტრემ ძილშივე წამოიყვირა:
გადარეულხარ გზა აგბნევი,
გადაჩეხილხარ გაბრიელ ხრამს,
რაის ჯინი გაქვს თავი მანებე,
არ მინდა შენი, არ გაგცემ ხმას;
შენი მუშტრები ჩემთან მოდიან,
მე შენზე უფრო კაცურად ეხვდები,
ამ მდინარეზე შარშან დადგმული
გათენებამდე ბრუნავენ ქვები.
ურმებით მოაქვთ ჩემთან საფქვავი,
მე დილამდისინ ველარ ვათავენ,
შენ კი რამდენჯერ გაგირღვევია
ჩემი წისქვილის ჯებირ-სათავე.
იმზომ გულს მტრობა ჩავითესია,
რა ზომ სიმინდიც არ გითესია,
ლმერთმა გიმტროს და ამ ხეობიდან
გვარეულობით ამოგლესილხარ.



გოგი ყვირილმა მისმა მამისამ,
გამოაღვიდა გულბოლომიანად,
მას ღრმად ეძინა და შესაძლოა
არც კი ეძინა მშვიდობიანად.

- დედი!
- რა გინდა შეილო?
- გლვიდავს?
- მღვიდავს.

მამის ყვირილმა გამოგაღვიდა?
მან ასე იცის, ძილს მიეც თავი,
ყურს ნუ მიუგდებ!

- დედი, გააღვიდე! სიზმარს გადაყვა!
- და ბებრუხანამ ქუსლი კრა ქმარს:
- თოლივე! გესმის თოლივე!
- კმ! კმმ!

- გამოიღვიდე თოლივე!
 - თავი მანებე შენ... დედაკაცო!..
 - თენდება, თენდება არ გესმის?
- პეტრეს ზმორებით გამოელვიდა,
ის ძილნაკლული წამოდგა ზანტად,
ნიფხავ-პერანგის აპარა იყო,
რომ ფეხშიშველი გავიდა გარეთ.

ჯერ დრო შორს იყო გათენებამდის,
ისევე დაწვა და მტვრად ქცეული
ჩიბუხს ჩასტენა შავი თამბაქო,
ამოაბოლა ზედიზედ კვამლი,
გამოელვინა ყველას უდროოთ.
და ჩვეულებრივ დაწოლილებმა
ისევე გამართეს სჯა და ბაასი.
და ერთმანეთსა გაუზიარეს
ამავე ღამეში რაც კი ესიზმრათ.

17

მთვარე ჩავიდა და განთიადი
დადგა ქედებზე ვით ოქროს ზოდი.
ამ დროს დგებიან და ქონძახებში
ცეცხლს აჩალებენ დედაკაცები.
ცაზე კაშკაშებს ცეცხლი მორლიის —
მაშინ ქალები კვებავენ ქათმებს
და საოჯახო საქმით მოღლილნი,
მონურ ყოფაში დროს მიათრევენ.

18

გარიერაეისას პეტრე წავიდა წისქვილში.

19

მთიდან წყალი ჩამორბოდა,
დაღმართ-დაღმართ რიყე იყო,
მიღმა-მოღმა ლოდები და
საცალფებო ხიდე იყო.
ლოდებ შორის გუბე იყო
მიმდინარის ნაგუბარი,
გუბე ზეცის სარკე იყო —
კალმახების საბუღარი.
აღმართ-აღმართ კიდევ იყო,
ლოდზე ლოდი მინაგლესი,
ჩანჩქერების კიბე იყო
კლდენი მქუხარ მდინარესი.
ქუხდა ისევ მოსალხენი,
მეღმა-მოღმა მოლი იყო,
ამ ხეობის მოსახლენი
ორასამდე კომლი იყო.

20

გზაზე მიდის პეტრე მარტო
და თავის თავს ეუბნება:
„სოფლის გამგე შენ არა ხარ,
ამბობენ, რომ მკბენარა ხარ.“

ქონება გაქვს, გონება გაქვს,
ოდა გიღვას ამაყი და
დაფრლომილის განაყიდი.



მიწა გითხრია, თუ სხვა გიძარცვავს,
კაცი ლორივით ტალახს გდებულხარ,
რომ გესაზრდოვა შენ, შენი ძენი,
და თუ ამრიგად გალაღებულხარ, —
კეუით და სისხლით გაქვს შენაძენი.
მე ბევრი ჭირის გადამტანი ვარ,
მაგრამ ასეთის არ ვარ მნახველი:
მოვიდა კაცი, როგორც დრო შავი,
ჩემი მოსისხლე მტერი ოშარი
და კომფრაქციის ავი სახელით,
ძველი სოფელის რღვევის პროშავი,
ამბობდა: ჩვენი მოსახლეობა
უნდა ხელახლად გავაშენოთო.
მზით გახურებულ ივლისის დღეში
ყინულის სახლებს მიგებდა თვალწინ,
გადარეული, ბოროტი ლეში,
ჩვენ გვატყუებდა, — თვით წყალს ნაყავდა
და შავსა ზღვაზე არხი გაყავდა.
იყო ზღაპარი სხვა არაფერი,

არ დაიჯერებს ამას ხეობა,
დარჩება ისევ ხელუხლებელი
მამა-პაპური მოსახლეობა“...

ამას ფიქრობდა პეტრე გზა და გზა

და გაბრიელი არც კი ახსოვდა,

როცა მდინარეს მიუახლოვდა,

ქვაზე წაიკრა მან ფეხის ცერი

და მოაგონდა მოქიშვე მტერი

გაბრიელ, სამტროდ დაუძინარი,

ჯერ იყო დილა და

იღვა სოფლად

მჩატე და სუფთა ნისლი მდინარის,

ვიწრო კალაპოტს ეომებოდა

წყალი ქაფურა და მომცინარი.

„სოფელს არ უნდა მე გავიხარო,

ჩემს გარეშემო მტრობა მძვინვარებს,

უნდათ სამარე თვით გამითხარონ

და სიხარულით მისამძიმარონ, —

მაგრამ მაგრათ ვარ ძველებურადა,

ჩემი დღეები ისევ წინ არი,

ბრუნავს ბორბლები

წყალში ძმურადა,

ბრუნავენ ქვები დაუძინარი.

პეტრემ წისქვილის არხის სათავე
და ჯებირები ნახა უვნებლივ;
გლებებს მოქონდათ საფქვავე
ზურგით, ვირით და ურმებით.

ბშირად მდინარეს არხი და
ბორბლები გაუგუბია;
წისქვილში ლაზღანდარობენ,
წისქვილი „სოფლის კლუბია“.
გინდ იყოს დარი, ავდარი,
ენა გრძელი და ლაზათი,
მოვა დილითვე ლაზარე —
ცნობილი მოლაზღანდარე.
მასხრად ავდებულ ლაზარეს
ტანზე ძონძები აცვია,
შრომა არ უყვარს ლაზარეს
უქმი, ზარმატი კაცია.
შრომით არასდროს ყოფილა
ნაოფლარი და დაღლილი,
მუდამ წისქვილში ავდია
ლაზარე ბებერ ძალღვივით.

დილით ბავშვები მზეზურ
კედელს ცარციტა ხაზავენ,
ერთი ათასად გაზრდილი
მოაქვს ჭორები ლაზარეს.
არ დაეღევა სათქმელი
ამბავს მოყვება ამბავი;
გლებებს გაქონდათ ფქვილი და
გლებებს მოქონდათ საფქვავე.
პეტრე აგროვებს ნაბაჟურს,
ბაჟით ლარიბი როდია!
გაბროს მუშტრები ურმებით
პეტრეს წისქვილში მოდიან.

28

პეტრემ გაბრიელს რისხვა არგუნა,
წისქვილის არხი გაურღვია და
გაბროს წისქვილის ქვები არ ბრუნავს
გაბროს მუშტარი პეტრეს მიადგა.
პეტრე ფიქრობდა: მე გაბროს დამბა
და ჯებირები გამირღვევია,
გაბრაზებული ჩემზედა ალბად
მტრობასა მტრობით გადამიხდისო.
პეტრეს ძვლები აქვს მაგარი,

ხავს მოდებული მკლავი და მჯავა,
აღესილია, რკინის გამკვეთი,
მტრის გასაპობად მისი ნაჯახი.



24

როდესაც პეტრეს წისქვილში,
ცხირ-მალალ ენა ლაზათი
ლაზლანდარობდა ლაზარე —
გაბრიელ ნაჯახს ლესავდა
და გულში მტრობას სთესავდა.

25

ტყით გამოვიდა გაბრო დათვივით,
არხი, ჯებირი, ნაჯახით ვაპო,
ქვები, ხორგები მიყარ-მოყარა,
ჯავრი იყარა, ჯებირი აყარა.
კაცი დილოდან შუალამემდი
ლაზლანდარობით თავს მოგაბეზრებს.
პეტრეს წისქვილი ჯერ ღრიალებდა
და ასალებდა ქორებს ლაზარე.
ამასობაში ქვების გრიალი
ჩაქრა და შეწყდა წყალის დინება,

შეწყდა ბორბლების სწრაფი ტრიალი,
აენტო პეტრე და იგინება...
„ჩემი მტერია, ქრელი გველია,
ვინ მიმტრო, ვინ? — გაბრიელია,
მეხ დაცემული მისი ოჯახი!“ —
ხელთ იგლო ნაჯახი და გაედევნა.

26

იმავე დღეს პეტრემ თემ-აღმასკომში
გაბროს უჩივლა.

იმავე დღეს გაბრომ თემ-აღმასკომში
პეტრეს უჩივლა.

ასე იბრძოდენ დღე-ღამ ისინი,
სჭამდენ ერთმანეთს მოსისხლე მგლები,
ამ ხეობაში, ამ მდინარეზე

ებრძვის ერთმანეთს ორი ბობოლა.
ერთმანეთს გზაზე ხანჯლით ხედებიან,
ერთმანეთს სამტროდ ემუქრებიან.

ხშირად პირისპირ დაჯახებითა
ლამის, ალესილ ნაჯახებითა
ერთი-მეორე დაუხოციათ
და დარჩენილან სისხლით სოველი, —

არ ენანება მგელს მგელის ხორცი,
ორივეს ერთად მთელი სოფელი.



27

კვირა დღე იყო,
მზე შუადღიდან გადახრილიყო;
თემ-საბჭოს სხდომაზე მსჯელობდნენ გლეხები:
საქმე პეტრეს და გაბროს ეხება.
წამოდგა სიღო,
თითებზე იწყო მან ანგარიში:
„ჩემივე ოფლით და ჯანით ნაჯახირს
ოციოდ ბათმანს ჩემს ოჯახიდან
მგლეჯენ ხელიდან მეწისქვილენი,
ხშირად მშიერი მრჩება შვილები.
აბა თვითონვე იანგარიშეთ:
მომიტანია ზურგით საფქვეავი,
განახევრებულ სახლში გამიშვეს,
უნდათ თვით თხარონ ჩემი საფლავი...
გითხრათ მართალი,
მართალის მწყურვალს გაუხარდება,
წლიდანა წლამდე. აბა დათვალეთ,
ოთხი ათასი ფქვილი ბათმანი
ამ მგლების ხელში ეარდება.“



დგას ორი წისქვილი, და ხეობაში
 არა ნაკლები ორასი კომლია,
 მეპატრონენი ერთმანეთს გლეჯენ,
 მათ შორის მუდამ ჩხუბი და ომია.
 ორივე ჩემი მეზობელია,
 მათ შუა მიდგას შავი კარავი,
 პეტრეა, ჩემი ეზოს მდომია,
 გაბრიელ, ჩემი მიწის მპარავი.

28

საბჭომ მონახა გამოსაველი:
 ერთად ხეობამ პირი შეკრა და
 ცალკე ააგო ოთხ-თევალი წისქვილი
 სხვა ვხა არ იყო
 სოფლის წისქვილმა ორივე გარიყა:
 პეტრეც და გაბროც, მათი წისქვილის
 კერაზე ჩაქრა ცეცხლი და ბოლიც,
 კარზე ეყიდა მძიმე ბოქლომი,
 და სალაზღანდროთ არ მოდიოდა
 არც დღით, არც ღამით
 ენა ლაზათი ლაზარე...
 და უქმათ იდგა ორი წისქვილი
 პატრონთა მიერ გადარაზული.

მაგრამ იესება გული ბოლმითა,
 პეტრე ხომ მგელზე უფრო მზეცია:
 გულში ჩაიგდო მტრული განზრახვა
 სოფლის წისქვილი ნაცრად ექცია.
 მაგრამ როგორ ქნას?

გეგმებს აწყობდა მიწის მქამელი:
 „გაბრიელიც ხომ ამ ცეცხლით იწვის“—
 იამხანაგოს?

სოფელს ორივემ ჩასცეს ლახვარი?
 მაგრამ ვაი თუ მხარი ვერ მისცეს,
 გასცეს, ლალატე, რომ ჩაიღინოს?...
 ვერ გადასწყვიტა.

გაბროს გულშიაც გროვდება ბოლმა.
 მასაც განზრახვა ჰქონდა ბოროტი:
 გადაებუგა სოფლის წისქვილი.
 გაბროც ფიქრობდა
 გულჩათხრობილი:

„პეტრეც ხომ ჩემებრ ცეცხლითა იწვის“.
 იამხანაგოს?

მაგრამ ვინ იცის, შესაძლო არის
 მტერმა მტერს უმტროს
 და დააბეზლოს საერთო მტერთან.

30

პეტრემ გადაწყვიტა:
სოფლის წისქვილი ნაცრად ქცეულიყო —
გაბრომ არ იცოდა.
გაბრომ გადაწყვიტა:
სოფლის წისქვილი ნაცრად ქცეულიყო
პეტრემ არ იცოდა.

მგლები გულბოროტ განზრახვისანი,
ასეთ შავნებელ ცეცხლით იწოდენ,
ორივეს ქონდა ერთი მიზანი
და ერთმანეთის აღარ იცოდენ.

31

პეტრემ დააწყო ასეთი გეგმა:
„შაშინ როდესაც აღსავეს ღვარძლით
სიღო იქნება ღამით მორიგე,
მოეკიდება სოფელს ღრმა ძილი —
მე ფეხაკრეფით უნდა მოვიდე...
გული იხარებს მზე თუ გაუქრა,
ვინც ხელს ჩემს სამტრო საქმეს კიდებდა,
ნავთს გადავასხამ, ასანთს გაუქრავ
და წისქვილს ცეცხლი წაეკიდება.“

ახმაურდება ჩემი წისქვილი
ბარაქიანი ქვა და დოლაბი
მე ვაფიხარებ: პეტრე დაძლეული
ნაცრად იქცევა სოფლის დოვლათი...
დაიწვის სიღო... მისი მეუღლე
გლოვის ზარს შეჰქმნის დაქვრივებული
დარჩება სოფლის წისქვილის ნაცვლად
სიღოს ძვლები და ნაცარი..."

32

გაბრომ დააწყო ასეთი გეგმა:
სოფლის წისქვილის გადასაწვავად,
მე ხელსაყრელ დროს უნდა მივიღე
როცა იქნება სიღო მორიგედ.

33

ფიქრობდა პეტრე: მაგრამ სოფელი
ამ ბოროტებას ვის დააბრალებს?
ან მე, ან გაბროს, ანდა ორივეს...
ჩემზე რომ იქვი არვიან აიღოს,
სამეზობლოში დღით ხმას დანეგდებ:
მივალ სასტუმროდ, დავიმალები,
მოვა შევალამე, ცეცხლს წაუკიდებ.



და ნათესავთან გავიპარები.
დილით სოფელი გაბრაზებული
გაბროს იგულებს ბოროტმომქმედათ.

34

ფიქრობდა გაბრო: მაგრამ სოფელი
ამ ბოროტებას ვის დააბრალებს?
— ან მე, ან პეტრეს, ანდა ორივეს,
ყოველგვარ იქეთა გასაფანტავად
სამეზობლოში დღით ხმას დავაგდებ:
მივალ სხვაგანა, დავიმალეები,
მოვა შვალამე, ცეცხლს წაუკიდებ,
და ცოლსურში გავიპარები.
დილით სოფელი გაბრაზებული
პეტრეს იგულებს ბოროტმომქმედათ.

35

სოფლად დაიწყო კარგი ამინდი,
დღე მიყვებოდა დღეებს გვალვიანს,
მეზობლებს, პეტრე სტუმრათ წავიდა
უცხო სოფელში, ასე პგონიათ,
ვინმე უძახდა: პეტრე შინ არი?

— უცხო სოფელში; გახლავთ წასული,
უმალ მიუგო დიასახლისმა...
გარიქრავიდან შუალამემლი
პეტრე ბელელში იმალებოდა.

36

სოფლის წისქვილში მორიგობდნენ
დილიდან დილამდე,
დღეს სიღო არის მორიგეთ.

37

დადგა შუალამე, პეტრე მზათ იყო.
ბნელოდა ისე რომ მოშორებით,
შვილი მამასაც ძლივს-ლა იცნობდა.
სოფელს ეძინა და განუწყვეტლივ
ძაღლები ძაღლებს უყეფდნენ.
პეტრემ წაიღო ნავთი, ასანთი
და ფეხაკრეფით, ფრთხილად, ქერდულად
სოფლის წისქვილს მიუახლოვდა.
ხორგთან მიწვა და იქაურობა
ყურით დაზეერა, ესმოდა რაღაც,
ისე დაქიმა სმენის ნერვები,
სმენად ქცეულმა ერთი გრძნობისამ.

ვერ გაბრკევა სუსტი ბგერები,
კაცის ხმა იყო თუ ქვემძრომისა...
ეს იყო გაბრო, ტანზე ეხურა
ვით ღამე ბნელი შავი ნაბადი,
და მოდიოდა თავისებურად,
ფრთხილად, ცერებით, სულგანაბული: —
უჩქარე თორემ გაიღლიანებს,
ნაშუალამეფს მთვარე ამოვა,
ძალე, თუ სოტა დაიგვიანე
ხელსარიელი უკან წამოხვალ.

38
სიღოს ეძინა წისქვილში.

39
პეტრე წამოდგა წელმოკეცილი,
გადმოდგა ფრთხილად ერთი ნაბიჯი,
სუნთქვა შეიკრა, შესდგა ცერებზე,
გაინაბა და ბოყთან მიმჯდარი
ისევე ზვერაედა იქაურობას.
სწრაფათ მიასხა ნავთი კელელზე,
ამასობაში ყურის ძირშივე,
მოესმა მძლავრი ქვების ხრიალი.

წამოხტა უცებ ელდა ნაცემი,
კაცს შეეხება,

ვერ გაარკვია კაცი ვინ იყო,
იგიც უმალვე გაქცეულიყო —
ეს იყო გაბრო.

პეტრემ გააგდო ხრამზე ნაბიჯი,
ნახტომი იყო საყენიანი,

მაგრამ ვერ გაწვდა, ხრამს ჩაიღეწა,
ნახტომებს მოყვა კიდევ ხრიალი,

სიღოს ზმაურში გამოელვინა,

ჩუმათ გააღო წისქვილის კარი,

ქრაქის სანათით მიმოიხედა,

მისი მეზობლის ქურქელი ნახა, —

— პეტრეს სანათე?! აქ რა უნდოდა?!





შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|-------------------------------|-----|
| ორი მისამართი | 83- |
| შავა ცხოია | 5 |
| ზარა | 44 |
| ამბავი არტემ ნააბრაველის | 65 |
| რევკომის თავმჯდომ. იურ შოფარი | 73 |
| ქალაქი ოფუცხოვოში | 81 |
| პველე გორვასლან | 87 |
| ახალი მოსახლეობა | 93 |
| | 99 |





Faint, illegible text is visible across the page, likely bleed-through from the reverse side of the document. The text is too light to transcribe accurately.

5-2/131



ს. 1 ც. 48. 81
18